ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკვადული

№ 11
მოზრდილთათვის

აკაკის დღესასწაულის სახსოვრად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—***—ლექსი, შ. მდვიმელისა 3
II—აკაკი წერეთელი.—ვინისა. 5
III—მოგონება აკაკის შესახებ.—ნინო ნაკაშიძისა . . . 16
IV—მოგონება აკაკის შესახებ.—ტქვიტისა. 21
V—ერის დიდებას აკაკის.—ლექსი, დარიისა 25
VI—ლამურა.—აკაკისა. 26
VII—ალექსი.—(ზღაპარი ემაწვილებისათვის) აკაკისა . . . 33
VIII—სიზმარი —(ვ. ქ. მ.) აკაკისა 57
IX—მერცხლისა და ჭივჭავის ომი.—აკაკისა. 50
X—მიჯაჭვული ამირანი.—ლექსი, აკაკისა. 63
XI—ვარდი და ეკალი.—აკაკისა 64
XII—გამოცანები 70
XIII—რებუსი. 71

ნაკადული № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ/ბ

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართველ

საქართველოს სახელმწიფო
* ეროვნული * ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—***—ლექსი, შ. მღვიმელისა 3
II—აკაკი წერეთელი.—ვინისა 5
III—მოგონება აკაკის შესახებ. – ნინო ნაკაშიძისა 16
IV—მოგონება აკაკის შესახებ.—ტქვიტისა 21
V—ერის დიდებას აკაკის.—ლექსი, დარიასი 25
VI—ლამურა.—აკაკისა 26
VII—ალექსი.—(ზღაპარი უმაწვილებისათვის) აკაკისა 33
VIII—სიზმარი.—(ვ. ქ. მ.) აკაკისა 57
IX—მერცხლისა და ჭივჭავის ომი.—აკაკისა 50
X—მიჯაჭვული ამირანი.—ლექსი, აკაკისა 63
XI—ვარდი და ეკალი.—აკაკისა 64
XII—გამოცანები 70
XIII—რებუსი 71

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ხედავთ, ბალღებო, ანკარა
წყალს კლდიდამ გადმომდინარსა?
ხან აღქაფებულს, მრისხანეს,
ხან დაწყნარებულს, მკინარსა?
ჩამორბის, ჩამოკამკამებს
და სალამს აძლევს სერებსა,
დაბლა ღიმილით უმზერის
მწვანე კორდიან ველებსა.
პაწია, ქორფა ყვავილებს
ჩაუვლის, ჩაუღიღინებს,
ზოგს ქოჩორს გადაუვარცხნის,
ზოგის კალთაში იძინებს,
რომ ცოტად მოსვენებულმა
შორი გზა კვალად განაგრძოს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა ეწვიოს სხვა კუთხეს
და ისიც გაალამაზოს.
როდესაც ცვარი და ნამი
ცისა ზედ დაემატება,
ის მაშინ მადლით აღვსილი
გზას უფრო გაემატება.
მიდის და მიდის უღლელად
მისჩქეფს წინ, მიუხარია,
იქ ეტანება, სადაც უფრო
კორდები გადამწვარია,
რომ ცოცხალ-მკვდარსა ესხუროს
მკურნალად მიესალბუნოს
და მათი გამოცოცხლება
თავის გულს წილად არგუნოს...
ის კლდე—აკაკის გულია,
წყალი—ლექსები მჩქეფარე,
ზოგი ტკბილი და სათუთი,
ზოგი მკვეთრი და მგრძნებარე,
და ყვავილები—თქვენა ხართ,
მის უკვდავება შვილები
აი რომ დგეხართ მის წინა
დღეს კოხტად ჩაკვანწილები.
თქვენ გიმღეროდათ დღე-მუდამ,
თუმც იყო მტრისგან დევნაში;
თეთრი ჭალარა დაერთო
თქვენს ალერსსა და ხვევნაში.
ახლა კი თქვენი ჯერია,
უმღერდეთ მრავალ-ჟამიერს,
რომ გვყავდეს დიდხანს ნუგეშად
ყველა იმ ერს და ამიერს.

შ. მღვიმელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

წელს, ქრისტეშობისთვეს, ჩვენი საქართველოს თვითეული კუთხე დიდის აღტაცებით დღესასწაულობს ჩვენი სახელოვანი მწერლის, აკაკი წერეთლის მოღვაწეობას. მთელი ქართველობა ემზადება, მადლობა შესწიროს გამოჩენილ თავის მწერალს ორმოცდაათი წლის მუშაობისათვის და მის პატივის საცემელად აღნიშნოს ეს დღე განსაკუთრებულის დღესასწაულით.

ვისაც-კი რამე წაუკითხავს ქართულად, ყველამ იცის ვინც არის აკაკი. ყველგან და ყოველ ოჯახში იციან, ვინ არის აკაკი და რითაც არის შესანიშნავი, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია ნაკადულის მკითხველებს გავაცნოთ მოკლედ ამ მოღვაწის თავგადასავალი.

—

აკაკი დაიბადა ზემო იმერეთში, საწერეთლოში, სოფელ საჩხერეს 9 ივნისს 1840 წელს. იმ დროს იმერეთში ჩვეულებად ყოფილა შემოღებული ბავშვების „გაბარება“ ანუ „გაძიძავება.“ „მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდნენ და აზრდევინებდნენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები—აზნაურებს და აზნაურები-კი გლეხებს; უფრო ხშირად-კი თავადებიც გლეხებს აზრდევინებდნენ.“ ამნაირად პატარა კაკოც (აკაკის ბავშობის სახელია) გაუბარებიათ სოფელ სავანეში ძიძასთან ეს სოფელი იქვე საჩხერესთან მდებარეობს, სულ ნახევარი საათის სასიარულოზედ. ხან მშობლები ნახულობდნენ თურმე პატარა კაკოს, ხანაც თითონ ძიძას მიჰყვანდა იგი დედ-მამის სანახავად სასახლეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ჩვეულება ბევრს შეიძლება უცნაურად ეჩვენოს, მაგრამ თითონ აკაკი ეხლაც ძალიან მადლიერი არის ამისი. „თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყა-

აკაკი

ლობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“ — ასე ამბობს აკაკი თავის თავგადასავალში, სადაც თავის წარსულ ცხოვრებას დაწვრილებით მოგვითხრობს.

ამ თხზულებაში დაწვრილებით მოგვითხრობს აკაკი თავის ბავშობის ამბავს. აქ სხვათა შორის სიამოვნებით იგონებს აკაკი სოფ. სავანეს: „აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედგანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ „საფაფურით“, საიდგანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამოწოლილი, დევივით, იდვა დიდი უზარ-მაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად, ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდაო“...

გლეხის ოჯახში, სადაც ყველანი მუშაობენ დილიდგან საღამომდე და საქმეც გამოულეველია, პატარა კაკოც, სხვა ბავშვებთან ერთად თვალყურს ადევნებდა მუშაობას და თითონაც მონაწილეობას იღებდა ამ მუშაობაში. „ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდიო—ამბობს აკაკი—თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის-გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, ვაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვა-გვარ შეჭამადის მომზადება. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელ-საწყო რომ მქონებოდა, ყველაფერს მოვახერხებდიო.“ ბოლოს მატყლის ჩეჩვაცა და ბამბის პენტვაც-კი უსწავლია.

პატარა ტოლ-ამხანაგებში „თავისუფალი,“ „შველივით მონავარდე“ კაკო მხიარულად ატარებდა დროს. „შინ დარჩენა ჩემთვის დასჯა უყოო—ამბობს თავის მოგონებაში—მიყვარდა ყანებში სიარული, სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში; იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო. გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდე იქა ვრჩებოდიო.“ ამიტომაც აკაკი მოხუცებულობის დროსაც-კი დიდის სიამოვნებით იგონებს თავის პატარაობას და ამბობს: „ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტან-მრთელი, მალხაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილიო. დიაღ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ხან-და-ხან, კვირაში ერთხელ, თუ ორჯელ ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდნენ ხოლმე სასახლიდგან ჩემ სანახავად გამოსულებიო.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს ბედნიერი ხანა მალე შეიცვალა აკაკისათვის. იგი სოფელს გამოათხოვეს და სასახლეში წაიყვანეს, „სადაც სულ ახალი ცხოვრება“ უნდა დაეწყო და სულ ახალ წესებს უნდა შესჩვეოდა.

აკაკის დედ-მამის ოჯახი ძველებურ თავადიშვილების ოჯახს წარმოადგენდა. აქ ყველაფერი განსხვავებული იყო, ცხოვრებაც და წეს-რიგიც.

ამ ახალ ცხოვრებას უნდა შესჩვეოდა ჩვენი პატარა კაკოც, რომელიც სულ სხვანაირად იყო გაზრდილი.

აკაკის დედა, ივანე აბაშიძის ქალიშვილი, დარეჯან ბატონიშვილის შვილის-შვილი იყო. როდესაც იმერეთში აჯანყება მოხდა რუსების წინააღმდეგ, 1820 წელს, ამ აჯანყების მეთაურობისათვის ივანე აბაშიძე მოჰკლეს ახალციხეს, ყველაფერი აუწიოკეს და ცოლშვილიც ტყვედ წაიყვანეს. ამ ტყვეობიდგან დაიხსნა აკაკის დედა გურიის უკანასკნელმა მთავარმა, მამია გურიელმა, რომელიც მას ბიძად ერგებოდა დედით. ამ დროს აკაკის დედა, ეკატერინე, 12 წლისა ყოფილა. ჯერ ტყვეობამდე დარეჯან-ბატონიშვილი ზრდიდა ეკატერინეს, მერე-კი გურიელმაც დიდი ყურადღება მიაქცია და კარგი შინაური სწავლა მიაღებინა. სასახლეში მყოფ ფრანგის პატრების დახმარებით, აკაკის დედას ბევრი რამ შეუსწავლია. როგორც თითონ აკაკი თავის მოგონებაში ამბობს, ყველაფერი ზედმიწევნით სცოდნია: „კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და კარგი აღმზრდელი, თანაც ცნობისმოყვარე და შრომის მოყვარე იყო“. სხვათა შორის სცოდნია კარგად მეურნეობა და ექიმობაც. ხასიათით ყოფილა მეტად „მოყვარული, ჩვილი გულის,“ გულკეთილი და ყველას შემბრალე. დიდის ყურადღებით შეუდგა აკაკის დედა თავის შვილის აღზრდას, ის იყო პირველი მისი მასწავლებელი, და უეჭველია ამ აღზრდის კვალი სამუდამოდაც დაეტყო აკაკის მომავალ ცხოვრებას, მის ხასიათს, ზნესა და ჩვეულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, სულ სხვა ბუნების, მიმართულებისა და ხასიათის ყოფილა. ადრე დაობლებულ, დედის-ერთა როსტომის ბიძები გადავარდნილი ყოფილან და იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონს ჰხლებიან. სოლომონი იმერეთის სამეფოს წართმევისათვის დიდხანს ებრძოდა რუსეთის მთავრობას, რომელსაც თვითონ სოლომონის დაახლოვებულნი პირნი ეხმარებოდნენ. სხვათა შორის მეტად ერთგულ სამსახურს უწევდა ამათ სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, რომელიც ყველას, ვინც სოლომონ მეფის ერთგული იყო, სდევნიდა და ანადგურებდა. სწორედ ამ ზურაბ წერეთელმა დაიბრიყვა და ააწიოკა პატარა როსტომიც. „ამიტომაც როსტომი შინაკაცად იყო გაზრდილი და მხოლოდ ის იცოდა, რაც დედას ესწავლებინა; თვითნებობა და ახირებულობა ზნედ ჰქონდა გადაქცეული. ბუნებითად ნამეტანი გულ-კეთილი იყო, შური და ბოროტება არ ესმოდა, რა იყო, მაგრამ ერთ უბრალო რამეზე უცბად იცოდა გულის მოსვლა, თუმცა მალევე გადაუვლიდა. ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენა-მჭევრი, თუმცა კი ხშირად ენა-მწარეცო—ასე აგვიწერს აკაკი თავის მამას და თანაც დასძენს: „რომ სწავლა მიეღო მამა-ჩემს და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა, მაგრამ ნამეტან გულ-კეთილობასთან შეერთებულ გულ-ფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა, და, რომ დედა ჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველიფერი არეულ-დარეული იქნებოდაო.“

სასახლეში მისვლისას პატარა კაკოს მოწყენა დაეტყო და დედამ ისევ სოფლის პატარა ბიჭები მიუჩინა გასართობად და სათამაშოდ. ამნაირად ისევ გაუახლდა სოფლური ცხოვრება.

მალე დედამ წერა-კითხვაც დააწყებინა და მასთან ერთად პატარა სოფლის ბიჭებიც სწავლობდნენ. ჯერ ხუცური კითხვა ასწავლეს აკაკის, მხედრული-კი თავის-თავად უსწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია. ანბანის წერა ბეჭზედ დაუწყია ძველი ჩვეულებისამებრ. დედის გარდა მის მასწავლებლად ყოფილა უფროსი და ანნა, რომელიც დღესაც ცოცხალია.

რვა წლის აკაკი სოფელს მოაშორეს და ქალაქ ქუთაისს ჩაიყვანეს გემნაზიაში მისაღებად. აქ თავდება აკაკის „ბავშობის პირველი ხანა, ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქედგანვე იწყება მეორეც: მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკულმართებელი.“

აკაკი დიდის ხალისით სწავლობდა და ნიჭიერი, მკვირცხლი მოწაფეც ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი სწავლაც მეტად ცუდი იყო, მასწავლებლებიც უცნაური ზნისა და ხასიათის და საგნებიც დედა-ენის მაგივრად უცხო, გაუგებარის ენით უნდა ესწავლათ. თანაც სასტიკად უკრძალავდნენ არა თუ ქართულის წაკითხვას, ქართულ ლაპარაკსაც-კი, და ამისათვის სასჯელსაც დიდს აყენებდნენ. მაგრამ ამ დაშლის მიუხედავად, აკაკი ყველა ქართულს წიგნებს გულდასმით ჰკითხულობდა და ვეფხის ტყაოსნით ხომ გატაცებული ყოფილა. ჯერ კიდევ თორმეტის წლის ყოფილა, როდესაც დაუწერია პირველი ლექსი „ლამპარი“. როდესაც თბილისიდან ამბავი ჩასულა ქუთაისს, გ. ერისთავმა კომედია დასწერა და კიდეც ითამაშესო, აკაკისაც დაუწერია სცენები, სადაც თავის მამის მოურავის ოინები ყოფილა აწერილი. (ეს პირველი ნაწარმოები, რომელიც აკაკის დედას შენახული ჰქონია, თითონ აკაკისავე დაუწვავს რუსეთიდგან დაბრუნებისას).

გემნაზიაში ბევრი უსამართლოების მოწამე გამხდარა აკაკი. ჩვეულებად ჰქონიათ მაშინ უბრალო დანაშაულისათვის მოწაფეების გაწკეპლვა. „ურმებით მოჰქონდათ ყოველ დღე ახალ-ახალი წკეპლებიო“—ამბობს აკაკი. თვითონ აკაკი გაუწკეპლავი გადარჩენილა, მხოლოდ ერთხელ „ხაჭაპურის ლოტარიაზედ“ ხელის მოწერისათვის მასწავლებელს სხვებთან ერთად აკაკისთვისაც ხელებზედ სახაზავი ექვსჯერ დაუკრავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მტანჯავმა და გამაუკულმართებელმა“ ხანამ მაინც ვერაფერი დააკლო ჩვენს მომავალ პოეტს. იგი პირველ მოწაფედ ითვლებოდა და საშუალო სწავლის დასრულების შემდეგ, რუსეთს გაემგზავრა, შევიდა პეტერბურღის უნივერსიტეტში, აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ, დაამთავრა 1861 წელს უმაღლესი სწავლა და მაშინვე დაბრუნდა თავის სამშობლოში.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიწყო აკაკიმ სამწერლო მოღვაწეობა და 1858 წლიდგან კიდეც იბეჭდებოდა მისი ლექსები ჟურნალ ცისკარში.

სამშობლოში დაბრუნებისას აკაკი მხნედ ჩაება საზოგადო მუშაობაში და ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იღებდა მონაწილეობას.

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში არ გამოსულა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, რომ აკაკის თანამშრომლობა არ გაეწიოს. „ცისკარი“, „დროება“, „მნათობი“, „კრებული“, „ივერია“, „იმედი“, „შრომა“, „ნობათი“, „თეატრი“, „ჯეჯილი“, „კვალი“, „მოამბე“, „ნაკადული“ „საქართველო“— ყველა ამ გამოცემების თანამშრომელი იყო აკაკი და ზოგიერთისაც ეხლაც არის. გარდა ამისა 1898—1900 წლებში თვითონ სცემდა აკაკი თვიურ ჟურნალს „კრებულს“, რომელშიდაც სახალხო ზეპირ-სიტყვაობის გარდა ბევრს საკუთარს ნაწარმოებსაც ჰბეჭდავდა.

აკაკის ნაწერი მრავალ-ფეროვანია და მშვენიერის ენით განსხვავებული. მას აქვს დაწერილი ლექსად, ცალკე თხზულებად: „თორნიკე ერისთავი“, „თამარ-ცბიერი“, „პატარა-კახი“, „მედია“, „ნათელა“, „კიკოლას ნაამბობი“, „ბაგრატ დიდი“, გარდა ამისა პროზით „ბაში-აჩუკი“, „სამგვარი სიყვარული“ და მრავალი მოკლე მოთხრობები, სხვადასხვა კომედიები და სცენები, მრავლისგან-უმრავლესი პატარ-პატარა ლექსები; სხვათა-შორის გალექსილი აქვს დიდძალი არაკები ლაფონტენის, კრილოვის და სხვათა; ამასთანავე ბევრი წერილები და შენიშვნები აქვს სხვადასხვა საზოგადო კითხვების შესახებ და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაროდ წარმოთქმული სიტყვები საყურადღებო შემთხვევების დროს.

სამწუხაროდ, ყველა ეს თხზულებანი, ზოგიერთების გარდა, ცალკე წიგნებად არ არიან დასტამბულნი. მათი რაოდენობა მეტად შესამჩნევია და მნიშვნელობაც მეტად დიდი ყველასათვის, ვისაც ჩვენი მწერლობის შესწავლა უნდა.

—

ამ ნაირად ორმოც-და-ათი წლის განმავლობაში, მთელ ნახევარ საუკუნეს, აკაკი ემსახურება ჩვენს ქვეყანას და ამშვენებს ჩვენს მწერლობას. აკაკიმ დაიწყო საზოგადო მოღვაწეობა იმ დროს, როდესაც ქართულ მწერლობას ბევრი გვერდს უხვევდა და არც მისდევდა. ისეთი დრო იყო მაშინ, რომ ქართველობას საჭიროდ არ მიაჩნდა ქართული წიგნის კითხვა და ქართულ შინაურ საქმესაც გაურბოდა. ვინც-კი ცოტა-ოდენ რუსულ ლაპარაკს ისწავლიდა — თავიც ბედნიერი ეგონა და, რომ კიდევაც სცოდნოდა ქართული, არც დაილაპარაკებდა და არც არას წაიკითხავდა ქართულს. ეს ჩვეულება, რასაკვირველია, მათში უფრო იყო გავრცელებული, ვინც სასწავლებელში ნამყოფი იყო. წერა-კითხვის უცოდინარი-კი, ძალიან მოყვარულიც რომ ყოფილიყო ქართული მწერლობის, ან-კი რას წაიკითხავდა?! ასეთ სამწუხარო დროს შეუხვდა აკაკის სხვა ჩვენ მოღვაწეებთან ერთად მუშაობა და ამისათვის ბევრად უფრო მეტი შრომა იყო საჭირო და მეტი სიმარჯვეც, ვიდრე ეხლა. ეხლა წერა-კითხვაც უფრო გავრცელებულია და ქართულ ენასაც უფრო მეტი ჰყავს პატივის-მცემელი.

კიდევაც ამიტომ პირველად აკაკი შეუდგა პატარა ლექსების, ცხელ-ცხელი ამბების და საოხუნჯო შენიშვნების წერას, რომ ხალხი ამით უფრო შესჩვეოდა კითხვას. შემდეგ თან-და-თან დიდი თხზულებებიც მოჰყვა, სადაც ჩვენი წარსული დროის ამბებია დასურათებული. გარდა ამისა, რაც-კი რამე საყურადღებო ამბავი მომხდარა ჩვენში ამ ნახევარი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნის განმავლობაში, ყველაფერზედ აკაკის თავისი ხმა ამოულია და აზრი გამოუთქვამს.

რაც კი ცხოვრებაში გამოვიდა აკაკი, მას შემდეგ არც სამსახურში შესულა და არც არაფრისთვის ხელი არ მოუკიდნია გარდა მწერლობისა და საზოგადო საქმისა. თავისი მადლიანის კალმით და აგრეთვე ცოცხალის ენით იგი აღვიძებდა მიძინებულ ქართველს, ამხნევებდა მას და მომავალი მუშაობისათვის აქეზებდა. და რადგანაც უფრო ხშირად ლექსად არის გამოთქმული მისი აზრები, მით უფრო მძლავრად გაუჯდა მის თანამოძმეთ მისი ნათქვამი. ეხლა ვერ ნახავთ ისეთ კუნჭულს ჩვენს საქართველოში, რომ აკაკის ლექსებს ზეპირად არ ამბობდნენ და მისი თქმით აღტაცებაში არ მოდიოდნენ. ვერ ნახავთ ისეთ ბავშვს, რომ აკაკის ლექსებს ზეპირად არ სწავლობდეს და არ იმეორებდეს. ჩვენი ნაკადულის მკითხველებიც უეჭველია ბევრჯელ დამტკბარან მისი სასიამოვნო ლექსების კითხვით, რადგანაც ჟურნალის დაარსებიდგანვე ჩვენი აკაკი მუდამ გვაწვდის სხვა-და-სხვა ლექსებს და არაკებს პატარა მკითხველების გასართობად.

ვერ ნახავთ ისეთ კუთხეს საქართველოსას, რომ აკაკის ლექსებს ტკბილად და გრძნობით არ მღეროდნენ. ხშირად მის გამოთქმულ ლექსს მსწრაფლად მოურბენია მთელი საქართველოს მიდამო და ყველგან დაუწყიათ ამ ლექსის დამღერება სხვა და სხვა ხმაზედ, სულ რამოდენიმე კვირის განმავლობაში. ვის არ გაუგონია ეს სიმღერები: „საიდუმლო ბარათო," „თავო ჩემო ბედი არ გიწერია," „ნანა," „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში..." „სულიკო," „ჩანგურს სიმები დავუბი," „დღეს მერცხალი შემოფრინდა," „სანამ ვიყავ ახალგაზდა" და ბევრი სხვა,—ეს სულ აკაკის ლექსებია, რომელიც გამოთქმისათანავე სასიმღეროდ აქვს გადაღებული ხალხს. ვერ ნახავთ ისეთ ქართველს, რომ აკაკის მოსწრებულ სიტყვას, ან პირადის გაგონებით, ან სხვის გადაცემით ბევრჯელ არ გაემხიარულებინოს.

50 წლის მუშაობამ, თავდადებულმა სამსახურმა სამშობ-
ბლოს სასარგებლოდ, შეუმჩნეველად არ ჩაიარა. წინად თუ ათი
ან ოცი მკითხველი ჰყავდა აკაკის, ეხლა უთვალავია მისი
მკითხველი და პატივის-მცემელი; წინად თუ ეზარებოდა ქარ-
თველს ქართულის წაკითხვა, ეხლა სიამოვნებით და აღტა-
ცებით იზეპირებს ქართულ ლექსს; წინად თუ ქართველს არ
ესმოდა თავისი ვინაობა, ეხლა არა თუ ესმის ეს, მტერ-მო-
ყვარესაც კარგად არჩევს; წინად თუ დაძინებულ ქართველს
არაფერი საზოგადო მისწრაფება არ აღელვებდა, ეხლა სა-
მაგიეროდ, მომავალის იმედიც ამხნევებს და აფხიზლებს. ყვე-
ლაფერი ეს მოხდა ჩვენი საზოგადო მოღვაწეების შრო-
მითა და მუშაობით, რომელთა შორის სხვებთან ერთად აკა-
კის უჭირავს უპირველესი ადგილი და მიუძღვის უდიდესი
ღვაწლი.

რასაკვირველია, ასეთი დიდი სამსახური დაუფასებლად
არ ჩაივლიდა და აი ეხლა, მადლობელი საქართველო თა-
ვის ძვირფას შვილს დღესასწაულს უმართავს. მთელი საქარ-
თველოს ერი დიდის აღტაცებით ემზადება ამ დღესასწაულის
გადასახდელად. დიდი და პატარა, მოხუცი და ჭაბუკი, ყველა-
ნი სიამოვნებით ეგებებიან ამ საიშვიათო დღეს და ერთად
უწნავენ გვირგვინს, რომლითაც უნდა შეუმკონ ის დიდებუ-
ლი ნიჭი, რომლის მადლიანმა კალამმაც ასე დაამშვენა ქარ-
თული მწერლობა.

ამნაირად აკაკის სიტყვებიც გამართლდა, და რასაც დიდი
ხანია თვითონვე ელოდა, ეხლა კიდევაც შეესწრო...

არ მოამკვდარა მხოლოდ სძინავს
და როდესაც გაიდვიძებს,
მოიგონებს იმათ სახელს,
ვინც დღეს იმას არ ივიწყებს!..

ამას ამბობდა აკაკი მიძინებულ საქართველოს შესახებ,
რომელსაც ის „ავადმყოფს“ ადარებდა, და აი დღეს კიდეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიღვიძა მისმა „ავადმყოფმა“ და მოიგონა თავისი დიდებული ლი შვილის ამაგი.

—

ნაკადულის რედაქციაც თავის პატარა მკითხველების სახელით მონაწილეობას იღებს ამ საქვეყნო დღესასწაულში და სიტყვას მისცემს აკაკის, რომ ეს პატარა ნორჩი ბავშვებიც გულდასმით შეისწავლიან ყოველ ლექსს აკაკისას, რომ გულში ჩაიბეჭდონ ის, რაც საყვარელ პოეტს მათთვის დაუწერია და უანდერძებია. ეცდებიან ამით სამაგიერო გადაუხადონ აკაკის იმ სიყვარულისათვის, რომლითაც ის თავის ლექსებში ხშირად და აღტაცებით ეტრფის პატარა ბავშვებს, მომავალ ქართველ მამულიშვილებს.

ვინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

აკაკის შესახებ

წიგნების კითხვა ძალიან ადრე დავიწყე, მეხალ სებოდა, როცა ვუყურებდი დედაჩემის, გაბმულ, სასიამოვნო ოდნავ გალობით კითხვას. ძალიან უყვარდა ვეფხვის ტყაოსნის კითხვა, და თითქმის ზეპირად იცოდა. წიგნები კარგა ბლომად გვქონდა. სხვათა შორის იყო ლექსების კრებული „ჩანგური“ ამ წიგნში მოთავსებული ლექსებიც თითქმის ზეპირად იცოდა და, რაც იცოდა დედამ, ის ვიცოდით ჩვენც ბავშვებმა, რომლებიც კითხვის დროს გარს ვუსხედით და ყოველ იმის სიტყვის გამეორებას ვსცდილობდით ვიცინოდით, როცა ის იცინოდა კითხვის დროს და ვტიროდით, როცა ტიროდა. მე მგონია, ექვსი წლისამ უკვე ვიცოდი, რომ „სალამური“ „ჩანგური“ „მუშური“ და სხვა აკაკისაა, „ნანა“—ჭავჭავაძისა, „მწყემსო კეთილო“—ბარათაშვილისა, მაგრამ ვინ იყვნენ და სად იყვნენ ეს აკაკი, ჭავჭავაძე და ბარათაშვილი, არ ვიცოდი და არც აზრად მომდიოდა, შემეტყო. ვიცოდი, რომ ამათ დასწერეს ლექსები, მიყვარდა ლექსები და მენატრებოდა თითონ წამეკითხა. მამაჩემს კი უყვარდა კითხვის მოსმენა. და აი ზამთრის გრძელ საღამოებს მთელი ოჯახი შემოვუსხდებოდით ბუხარს და მე ვუკითხავდი ყველას სხვა და სხვა წიგნებს და ჟურნალებს, რომლებიც მამაჩემს ოზურგეთიდგან მოჰქონდა, არა ერთხელ მოუყვანია მთელი ოჯახი აღტაცებაში ლექსებს, რომლებსაც ბოლოში ჰქონდა მოწერილი „აკაკი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, ეს უნდა ყოფილიყო 1884 ან 85 წ. მე და მამაჩემი გრიგოლ გურიელისას*) ვიყავით; სიტყვამ მოიტანა და მამაჩემმა უამბო, ძალიან კარგად კითხულობს და ძალიანაც უყვარს წიგნების კითხვაო. გრიგოლი ადგა, გამიღიმა, გადამისვა თავზედ ხელი და მითხრა:

— მაშ რახან ასეა, მე შენ ერთ დიდებულ წიგნს გაჩუქებ.—გამოიღო პატარა, ნაცრისფერ კანიანი წიგნი და მომაწოდა. „თორნიკე ერისთავი“ აკაკისა, ეწერა ამ წიგნის ყდაზე.

იმავე საღამოს ჩვეულებრივად შემოვუსხედით მაგიდას მთელი ოჯახი. როგორც ყოველთვის ჩვენი ორი მოჯამაგირეც აქვე მოგვისხდა ნაჩუქარი წიგნის მოსასმენად.

მართლაც წიგნმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა და სანამ არ გავათავე, არ შემიწყვეტია კითხვა.

„აი, კაციც ამისთანა უნდა... თუ გიყვარს სამშობლო, სწორედ ასე უნდა გიყვარდეს,“—ისმოდა შენიშვნები.

— ნეტაი შენ, თორნიკე ერისთავო,—სთქვა ერთმა მოჯამაგირემ,—შენისთანა კაცი მკვდარი არაა! მარა ამის დამწერმა უნდა თქვას, კაცი ვარო, აბა! აი, იგი აკაკია „მუშური“ რომ დასწერა?

— ჰო, ჰო, იგია!—ვუთხარი მე.

— ნეტაი ცოცხალი თუ არის ამის დამწერი?—იკითხა მეორე მოჯამაგირემ.

— ცოცხალი!—შევყვირე მე,—ამისთანა მშვენიერი რა მის დამწერი და ცოცხალი! მწერალი ცოცხალი არასოდეს აღარ არის!:

მოჯამაგირე როგორც ეტყობოდა ჩემ სიტყვებს არ დაენდო, მამაჩემისაკენ გაიხედა და თვალებით ეკითხებოდა, მართალს ვამბობდი თუ არა.

თუმცა მამა ჩემს ეჭვი უკრთოდა სახეზედ, ეტყობოდა, რომ ამ საკითხის შესახებ აქამდე არაფერი ეფიქრა და არაფერი იცოდა, მაგრამ ისევ მე დამეთანხმა:

*) ქილილა და დამანას გამომცემელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ნინუცი მართალს ამბობს, —მიუგო მან დინჯად, —მწერლებს იმისთანა ნაზი გული აქვთ, რომ ცხოვრების სიმკაცრეს ვერ უძლებენ. გამოსთქვამენ, რაც გამოსათქმელი აქვთ, და ადრე კვდებიან. მარა რაა ამისთანა კაცი, როგორც ხედავთ, წმინდა გიორგისავით საუკუნოდ იცოცხლებს.

ამ სიტყვებმა სრულიად დააჯერა მოჯამაგირე.

— ახლა აღარ ვიცი ჩემ ბიჭს თორნიკე დავარქვა თუ აკაკი,—სთქვა მან ცოტა სიჩუმის შემდეგ და მიუბრუნდა დედაჩემს, რომელიც იქვე ბუხრის წინ აკვანთან იჯდა,—ა, შენ რას იტყვი, რავა მირჩევ, ბალანას ხომ შენ მინათლავ და ბარემ სახელიც შენ ამირჩიე თორნიკე დავათქვა თუ აკაკი. თორნიკე რომ დავათქვა, ეგება ქვეყნიზა თავდადებული და საიმედო კაცი გამევიდეს, აკაკი რომ დავათქვა ეგება ამის დამწერს დიემსგავსოს და ამის უკეთესი რაღა იქნება!

როგორც მახსოვს, ჩვენ ყველამ ცხარე მონაწილეობა მივიღეთ და, მოხუცი გამდელის გარდა, ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ აკაკი დაერქმია. ჩვენი გამდელი კი ამტკიცებდა, ცოდვაა იმისთანა მშვენიერი ბავშვის სასიკვდილოდ გამეტება, თუ კი მწერლები ადრე კვდებიანო, და ურჩევდა, როგორც უწინ ჰქონდათ გადაწყვეტილი, ავთანდილი დაერქმიათ, რომ ავთანდილის ბედს სწეოდა. და მასავით ჭკვიანი გამოსულიყო.

გავიდა რამოდენიმე წელიწადი და ტფილისში ჩამოვედით. შემოდგომა იყო, მაგრამ მშვენიერი მზიანი, თბილი და მხიარული დარი იდგა. გოლოვინის პრასპექტზე ჩვენს ნათესავს შევხვდით და გავჩერდით. მამა ჩემი და ის ლაპარაკში გაებნენ; მე კი ირგვლივ თვალებს ვაცეცებდი: სოფლიდან ჩამოსულს ყველაფერი მაკვირვებდა. ამოდენა მორთულ-მოკაზმული, მხიარული ხალხის წინ და უკან სიარული, ეს ვეება სახლები, ამოდენა ეტლების გრიალი, ტრამვაის სრიალი და წკარა-წკური. ეს ხალხის განუწყვეტელი გუგუნი და ჟრიამული. ამოდენა თავშეყრილობა ნაგომრობაშიაც-კი[1]) არ მენახა

[1]) ბაზრობა ნაგომარზე რომელიც იმართება ივლისში ორი კვირით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში და სიზმარი მეგონა, რასაც ვხედავდი. ამ დროს ჩვენი ნათესავის ხმა შემომესმა.

— აჰა, ესეც ჩვენი აკაკი!—მე ისე ვიყავი გართული ჩემს ფიქრებში, რომ ამას ყურადღებას არ მივაქცევდი, რაღაცა მამა ჩემი რომ არ დაფაცურებულიყო.

— აკაკი? რომელია? აი მაღალი? ეკითხებოდა ის სხაპა სხუპით.

— რომელი აკაკი, მწერალი?.. ცოცხალი?.. აგერ ყავისფერ პალტოიანთან რომ მივა?.—შევყვირე, უცებ მოვსწყდი ადგილს და გავქანდი იმათკენ.

მრავალი ხალხი ირევოდა, მეკი მივრბოდი და ხან ვის ვეცემოდი, ხან ვის. ზოგი მლანძღავდა კიდევაც, როცა ვეჯახებოდი, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი და მივრბოდი ჩემთვის. დავეწიე კიდევაც. მაგრამ საჭირო იყო წინ გამესწრო, შემდეგ დავბრუნებულიყავი და შემეხედა. ამიტომ აღარ შევჩერებულვარ, სასახლის ქუჩის კუთხემდის მივირბინე და გამოვტრიალდი. ახლა კი ნელა წამოვედი. შორიდანვე, დავინახე ჩემკენ მომავალი მაღალი, შავ პალტოიანი და შავ განიერ ქუდიანი ოდნავ შეჭაღარავებული კაცი, რომელიც ხელების შლით, ღიმილით მოუთხრობდა რაღაცას მეორეს. გავჩერდი, გული საშინლად მიცემდა და თავში მიტრიალებდა: „აი ამ კაცმა დასწერა:„ თორნიკე ერისთავი, „ჩანგური“ „სიმღერა მკის დროს“, „გაპუტულო გლეხის შვილო“... რომ სწორედ ამ დროს მომავალის აკაკის მშვენიერმა სახემ დინჯი შესახედაობა მიიღო და გავიგონე იმის ხმაც: „პირველი საქმეა...“

— სამშობლოს სიყვარული! გამიელვა მე თავში წინადადების ბოლომ, როგორადაც ჩემი აზრით იმას უნდა დაემთავრებინა.

ერთ წამს სახე ჩემსკენ მოიბრუნა, თვალები ამავლ-ჩამავლო, თითქოს იგრძნო, რომ იმის ნახვის ნატვრით იყო მოცული თლად ჩემი არსება და რომ ამ მოულოდნელ სიხარულს ცოცხლად დანახვისას არ იტევდა ჩემი გული. მინდოდა მივვარდნოდი და... მაგრამ აკაკიმ ვერ შემამჩნია და თავის ნაცნობთან ერთად ნელი ნაბიჯით ჩაიარა.

ცოტა ხანს კიდევ ვიდექი და სიხარულით გაშუქებული გამოვწიე უკან. ჩქარა შევხვდი მამაჩემს და საშინლად გაჯავრებულ ჩვენს ნათესავს.

— **Чортъ знаетъ, что такое,**—სთქვა მან,—ყველას შეატყობინე, რომ სოფლელი ხარ! როგორ შეიძლება იმოდენა ქალი „გალავინსკზე“ გადარეულსავით მირბოდეს!..

ძალიან შემრცხვა და მივყუჩდი. ნათესავი საჩქაროდ გამოგვემშვიდობა და წავიდა.

— ჰე-ჰე-ჰე! გაჯავრდა ჩვენი პ...—სთქვა მამაჩემმა.— დეინახე აკაკი?.. აკი ცოცხალი არ გამოდგა, ჩვენ რომ... მეც მინდოდა გამოქცევა, მარა ჩამკიდა ხელი და აღარ გამომიშვა იმ ოჯახ აშენებულმა... ძალიან ყოჩაღად იყავი, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ გაასწარი თვარა შენც დაგიჭერდა... მე ახლა ვინ იცის, მოხუცებული ვარ, ეგება ისე მოვკვდე, რომ ველარც-კი ვნახო!—დაუმატა მან.

მართლაც მამაჩემს აკაკი აღარ უნახავს, რადგანაც მეორე დღეს გურიაში დაბრუნდა. მე კი... მე კი შემდეგ აკაკი გავიცანი კიდევაც. ბევრჯელაც ვინახავს და მილაპარაკნია მასთან, მაგრამ იმ პირველ ნახვის შთაბეჭდილება სამუდამოდ ჩამრჩა გულში, როგორც საგულდაგულო საუკეთესო მოულოდნელ ნატვრის აღსრულება ჩემ სიცოცხლეში და ახლაც ბედნიერი ვმადლობ განგებას, რომელმაც შთაბერა მას ეს უსაზღვრო სიყვარულით გაშუქებული უკვდავი ნიჭი, რომელიც ასეთ თანაგრძნობას და სიხარულს იწვევს ყველას, ყველას როგორც დიდების ისე პატარების გულში.

სულით და გულით ვუსურვებ მას 50 წლის იუბილეს მკითხველო და ერთად ვუსურვოთ კიდევ დიდხანს სიცოცხლე. რადგანაც მე ვიცი რომ აკაკი შენთვისაც ისე ძვირფასი და საყვარელია როგორც ჩემთვის.

ნინო ნაკაშიძე

მოგონება

აკაკის შესახებ

უმცა ისე პატარა ვიყავ, რომ თვით ჩემი არსებობისაც კი არაფერი გამეგებოდა რა, მაგრამ ასე მგონია, ეს ამბავი მხოლოდ გუშინ მომხდარიყვეს, ისე ღრმად მაქვს გულში აღბეჭდილი. ეს მაშინ მოხდა, როდესაც ჩემი ძმა, სახლის დიდება და ნუგეში, სემინარიიდგან დაითხოვეს, მახსოვს, გაზაფხულის მშვიდი და წყნარი საღამო იყო. გორას იქით დაქანებულ წითელ, ლამაზ მზეს თვისი სხივები შორს, ცის კიდეზედ, შოღიტებივით გადაეტყორცნა და მოკრიალებული ცა ოქროს ზოლებით აეჭრელებინა. ჩვენ სულ ყველანი სახლის წინ დიდი თუთის ქვეშ ვისხედით. მუდამ დაღონებულნი იმ მშვიდ საღამოს თითქოს უფრო გულ ჩათხრობილნი იყვნენ ჩვენები, თითქოს მისი სიკეკლუცე და სიდიადე მათ ულონობას უარესად აგრძნობინებდა, თითქოს სჩაგრავდა ის საღამო თავის შვენებით. ისხდნენ ჩუმად, თავჩაქინდრულნი, ზოგჯერ ერთმანეთს გადახედავდნენ და უხმოდ მწარედ ამოოხრავდნენ. ორი ბებერი—დიდედა ჩემი და მამიდა ტუჩების ცმაცუნით რაღასაც ტუტუნებდნენ; ჩემი ძმაც, იქვე ხეს მიყრდნობოდა, სემინარიულად მარჯვენა ხელი უბეში ჩაეყო და სიმართლის მძებნელს, ჩაცვინული თვალები ცის სივრცის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის გაეშტერებინა. მის პირ და პირ დედა ჩემი ქვეყნიდან
და, თავ დახრილი და ხმას არ იღებდა; მეც მის გვერდით
საცოდავად ვიძუძგებოდი და ცაზედ ობლად მოსეირნე ბურ-
თის მსგავს ღრუბელს გაკვირვებული შევჩერებოდი; ზოგჯერ
კი დედა ჩემს ჩუმად თვალებში ვაშტერდებოდი; რადგანაც
ვგრძნობდი მის მწუხარებას და მეც ისე ვიტანჯებოდი, რომ
მუდამ მის ალერს დაჩვეული, ახლა მხოლოდ დამნაშავესაებ
შორი ახლო ვეტმასნებოდი, თან მისი ცრემლებისა ისე მე-
შინოდა, რომ მეც ყოველ წამს მზად ვიყავ ხმა მაღლა ღრი-
ალი მომერთო და ამისათვის პატარა ბაწაწკივით უკან დავ-
დევდი—თვალს ვადევნებდი. ის იყო, მზე მხოლოდ ცალი
თვალით ღა იჭყიტებოდა, როდესაც ჩემი ბიძაშვილები ბესო
და ილიკო მოვიდნენ ჩვენ გასართობათ დი თან რაღაც გა-
ზეთი მოიტანეს,—მოდი, ბიჭო, გაზეთი მაინც ვადავიკითხოთ,
გული გავირთოთ, ან ის მაინც გავიგოთ, უჩვენოდ ქვეყანა-
ზედ რა ხდებაო"—ჩაიხუმრა ილიკომ და გაზეთი წასაკითხად
მოიმართა. მეც სმენად ვიქეც; ჯერ არაფერი გამეგებოდა რა,
მაგრამ ის კი მშვენივრად მახსოვს სიმშილზედ რაღაც ამბა-
ვი წაიკითხეს და გულ გახეთქილ ბებრების ტუტუნმა მეც ში-
ში შემომაპარა.

— მოიცა, დიდედო, ეგ სიმშილი ხომ მუდამ ყოფილა
და ახლა ვნახოთ, ჩვენი აკაკი რაღას გვეტყვის; ყური დამიგ-
დეთ—გააწყვეტინა ილიკომ და ლექსის კითხვას დინჯად შე-
უდგა. თუნდ რომ დამარჩოთ, ეხლაც ვერ გეტყვით, რა ლექ-
სი იყო, მახსოვს მხოლოდ, რომ ილიკოს, რაც უფრო
უახლოვდებოდა ლექსის ბოლოს, იმდენად უფრო უბრწყინ-
დებოდა სახე, თან ხელებს შლიდა არტისტულად და სიხა-
რულით აწითლებულს ცხვირის ნესტოები უცახცახებდა.
ლექსის დამთავრების შემდეგ ერთი კი წამოიძახა—„შენი ჭი-
რიმე, ჩვენო აკაკი, ტყუილად კი არ გეთაყვანებიო! დაჰხა-
რა თავი და ლექსს კოცნა დაუწყო. როგორც ცას შავი ღრუ-
ბელი, ასე ჩამოეცალა ყველას სევდა, დედა ჩემს მეტი გრძნო-
ბით მსხვილი ცრემლები გადმოსდიოდა, მაგრამ სახე კი ელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებოდა, თვალებიც სხვანაირად იყურებოდნენ და მეც ალბა შემშინებია. მათ სიხარულზედ მეც რაღაც ბედნიერება ვიგრძენ და აბა რაღა დავმალო, როგორც პაწია ფინია, ფეხებ ქვეშ სიხარულით ყველას ისე ვედებოდი, ვხტოდი, ვიცინოდი და თან გიჟივით გავიძახოდი,—მეც ვენაცვალე აკაკის მეთქი. მგონი ძალიან სასაცილო ვიყავი, რადგანაც ჩემს დანახვაზედ გულიანი ხარხარი მორთეს და უფრო გამხიარულდნენ. ალბად დიდედაჩემსაც გულში ღრმად ჩასწვდა, ის ლექსი, რადგანაც იმ დროს, როდესაც ჩემი გამოცოცხლებული ძმა ხელ მეორედ ლექსს აღტაცებით კითხულობდა ის ტკბილად, შემოდგომის მზესავით მოღიმარი ჩუმად გაიძახოდა: ღმერთმა გაანათლოს მაგის დამწერი, კარგი კია რაღაც არისო. ლექსის დამთავრების შემდეგ ბიჭებმა საყვარელი სიმღერა „მე ჩანგური მისთვის მინდა“ შემოსძახეს და იმ წამს ბურანში გახვეულ სოფელს თითქოს სიცოცხლე მოჰფინეს, მე კი გათამამებული დედას გვერდში მაგრა მივეკარ და აკაკის ამბავი გამოვკითხე. ის დღე იყო და ჟამი, აკაკის სახელი გულში ისე ღრმად დავიმარხე, რომ სულ აკაკობა მენატრებოდა; ხშირად სიზმარშიაც მელანდებოდა და ყველგან, სადაც კი ლექსს, გავიგონებდი, ცუდი იყო თუ კარგი, ყველა აკაკისა მეგონა. სკოლაში რომ მიმაბარეს მასწავლებელს უწინ ისა ვთხოვე, აკაკის ლექსები გვასწავლე მეთქი. შემდეგ კი, როცა წამოვიზარდე და ჭკუას პატარა დავუხმე, აკაკის, ძვირფასმა ლექსებმა ბევრ ნაირი გრძნობა აამოძრავეს ჩემს გულში, ნამეტანად კი მაშინ, როცა პირველად „თორნიკე ერისთავი“ წავიკითხე. მეც კინალამ პოეტად ვიქეც, მახსოვს, მარტოდ მარტო კლასის ერთ კუნჭულში ვიჯექ და გატაცებული ვკითხულობდი. ისე ავღელდი რომ კითხვას თავი დავანებე, ავიღე ქაღალდი და რაღაცა ლექსის წერა დავიწყე მაგრამ მღელვარება ვერ შევიკავე, ლექსი ველარ დავამთავრე, მივტრიალდი იქვე ხატთან და მდუღარე ცრემლით ლოცვა დავიწყე. გულით და სულით ვავედრებოდი ღმერთს ჯერ იმის დამწერს

ჩვენს აკაკის, მის აღწერილ ,ჭირნახულ საქართველოს, მოსუცს თარნიკეს და მთელ ქვეყანას. ვლოცულობდი დასთან კი მოკვირდა, რომ არც ერთ წირვაზედ ისე გულმოდგინედ და სასოებით არ მილოცნია, თუმცა კი წარა მარა უკან ვიხედებოდი, რადგანაც მეშინოდა არავის დავენახე და გიჟად არ ჩავეთვალე.

მას შემდეგ კიდევ დიდხანს მენატრებოდა აკაკის ნახვა, მაგრამ მაინც ისევ შეგირდი ვიყავ როდესაც იგი ჩემმა თვალებმა იხილეს.

ავქსენტი ცაგარლის დასაფლავებაზედ ამხანაგ ქალებთან ერთად ქვაშვეთის ეკლესიის ალაყაფის კარებთან ვიდექ და მათთან ერთად ხალხს ვათვალიერებდი. უცებ ვიღაცა მომაწვა, მეც უკან დავიწიე და ვიღასაც ფეხი დავადგი, ბოდიშის მოსახდელად უკან რომ მივიხედე, კინალამ გული გადმომივარდა: აკაკი, რომელიც მუდამ წიგნით დამქონდა, ცოცხალი თვალწინ მიდგა და ტკბილად იღიმებოდა. შემრცხვა, მაგრამ მგონი ისე არ შემრცხვა, როგორც გამეხარდა, რადგანაც თვალები რომ შემომანათა, ასე მეგონა, მთელი ჩემი საიდუმლო გულიდგან ამოიკითხა. უსაზღვროდ გახარებულმა ველარ გავბედე პირ და პირ ცქერა და ამისათვის იქვე ვიღასიც ძეგლს ამოვეფარე, და ჩუმჩუმად ცქერა დაუწყე. მისმა მშვიდმა სახის გამომეტყველებამ და ნამეტანად თვალებმა ჩემს გულში რაღაც ნაღველი დაჰბადა. ვუცქეროდი თვალებში და იმას ვგრძნობდი, თითქოს უფსკრულში ვიხედებოდი, ვაკვირდებოდი მაღალ შუბლს და ამას ვფიქრობდი: ნეტავი შენ, რომ ცოცხალი ხარ სულით და ხორცით! ნეტავი შენ რომ არ მოკვდები სიკვდილის შემდეგ.

ცქვიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერის დიდებას აკაკის

ამშობლოს მთელმა მიდამომ,
მთა-გორმა. ბორცვმა, ტყიანმა,
ტურფა წალკოტში ნაზარდმა
ზამბახმა, ვარდმა, იამა;

ლაჟვარდ-ციდანა-ციმციმით
ვარსკვლავმა, მზემ და მთვარემა,
ძირს დედამიწამ, გარშემო
ჭალებმა, ხევ-მდინარემა

მათ საამაყო ძვირფას შვილს
თავ დახრით გიძღვნათ სალამი,
ერთ ხმად ადიდეს ოთხ კუთხივ
შენი უკვდავი კალამი.

დარია



ღამურა

ერთის ციხე-დარბაზის ჭერ-ქვეშ ბუდობდენ თაგვები თავისუფლად და შეუპოვრად. ზაფხულში გრილი იყო მათი სადგომი და ზამთარში თბილი, და მით უფრო სანეტარო, რომ მაზედ თაგვებს შემცილებელი არავინა ჰყავდათ. ჭერ-ზეითი მდგმურებისაგან ჭერ-ქვეით მცხოვრებთ ხშირად, ზეციურ მანანასავით, სხვადა-სხვა საკნატუნო, საცუცნელი ნამცეცები უცვივდებოდათ.

მაგრამ თაგვუნიები მარტო ამასაც არ სჯერდებოდენ ხოლმე: ხშირად, ღამ-ღამობით წავიდოდენ საწუწკარზედ ქურდულად, და თუ სადმე მოახელებდენ თხილს, ნიგოზს, წაბლს, მწიფს და სხვა ამ გვარ ზეთიან შეჭამადს, მაშინ უნდა გენახათ მათი ლხინი! ქონიც ძალიან უყვარდათ, ისე რომ მარტო ტყავიც რომ ჩაეგდოთ ხელში, თუ კი ცოტაც იყო ქონი ეცხებოდა, ისე გამოხრავდენ ბასრი კბილებით, რომ ცხრილივით გახდიდენ ხოლმე.

შუაღამის ხანს, როცა დარბაზში ფეხის ხმა და ხმაურობა მიწყნარდებოდა ხოლმე, მაშინ თაგვები მოისაზრებდენ: „ეჰ, დაიძინეს მდგმურებმაო“, სიფრთხილით ამოჰყოფდენ თავს ჯურჯუტანებში, მიიხედ-მოიხედავდენ და, რომ დაიჯერებდენ გულს, ყველას დაუძინიაო, ამოცუნცულდებოდენ ჭერ-ზეით და ასეთ ხრაგი-ხრუგს ააყენებდენ ხოლმე, რომ ყურთასმენა აღარსად იყო! პატარა მსუნაგები ხან ერთ კუთხეს ეცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდენ, ხან მეორეს; ლოგინებზედ შეხტებოდენ და ... რეებს ზედ ფეხებზედ გადაუცუნცულებდენ ხოლმე. თაროები, შკაფები და უჯრები სულ დასინჯული ჰქონდათ. საწუწკარი თუ კი სადმე იყო, მიუგნებელი არ დაურჩებოდათ.—საკვირველი სუნი იცოდენ.

ყველაზედ უფრო მეტს ზარალს იმ მდგმურებში საწყალს ერთს ბებერ გადიას აძლევდენ: გადიამ თავის გაზდილებისათვის სხვა-და-სხვა საწუწკრების შენახვა იცოდა ხოლმე ბოყვში. პატარა ქურდები, რაკი ულვაშების ცმაცუნით მისუნავდენ, რომ აქ არის საშოვარიო, ჩაეპარებოდენ ბოყვში და გაჰქონდათ ხრაგა-ხრუგი, ამ ხმაურობაზედ დედაბერს ხშირად გამოეღვიძებოდა და გააბამდა ყვირილს: „აცხა, აცხა, თქვე წყეულებო! აცხა“! ამ დროს თაგვები გაბუნაგდებოდენ და, სანამ გადია არ დაიძინებდა, ჩუმათ იყვნენ, და მერე ისევ მიჰყვებოდენ ხვრას. ისე გაუჭირდა გამდელს საქმე ამ თაგვებისაგან, რომ ვისაც კი ნახავდა, სულ ამ თაგვებზედ შესჩივოდა, და საწყალს ყველა სიცილს აყრიდა. განსაკუთრებით ახალგაზდა ქალბატონი აჯავრებდა ხოლმე გადიას: „გადია, ე თაგვები რომ მანგრე გადაგემტერენ და საშველს ალარ გაძლევენ, როგორღაც ცუდი ნიშანი უნდა იყოსო, საიქიოს ხომ არ გისტუმრებენო“? ჰკითხავდა ხოლმე და თვითონ ხარხარს მოჰყვებოდა.—„იცინე, იცინე, ქალბატონო! და როცა თქვენი კაბები ყველა შეჭმული დაგიხვდებათ, მაშინ ვნახავ, როგორ გუნებაზედ დადგებით! თუ კამოდში ჩაგეპარენ როდისმე, თქვენს ფარჩის კაბებს ნაკვეც-ნაკვეცებად აქცევენო“!-- უპასუხა გადიამ.

ამ სიტყვაზედ ისე გაყვითლდა ქალბატონი, რომ თითქოცა და ქვეყანა იქცევაო. შეშინდა. და ან კი როგორ არ უნდა შეშინებულიყო, რომ მისი ღირსება მხოლოდ კაბებით იხატებოდა? ის მისთანა ქალბატონთაგანს ეკუთვნოდა, რომლებიც გრძნობას კაბებით იჩენენ და ჭკუას ფერ-უმარილით. აშფოთებულმა ქალბატონმა მაშინვე გამოსცა ბრძანება, რომ თაგვებისათვის ხაფანგი დაეგოთ. იმ ღამესვე დაუგეს თაგვებს ხაფანგი და მოსატყუებლად შიგ შეუდვეს დამწვარი ნიგოზი.

ნაშუალამევს, ხმაურობა რომ შესწყდა, თაგვები ამობრძანდენ ზევით, ეცათ ნიგვზის სუნი და გიჟივით მიმსდარან სათაგვეს. საქმე მისწრებაზედ შეიქნა. მაგრამ, ვაი ძისთანა მისწრებას და უი მათს მოსწრებას: უცბად ხაფანგმა დაიძახა ერთი: ჩხიკო! დაკეტა კარები, და რამოდენიმე თაგვი შიგ მოემწყვრა. საწყლები ხან იქით ეცენ, ხან აქეთ, შეჰქნეს წრიპინი, მაგრამ ვინ გამოიყვანდა იქიდამ? მეორე დღეს, გადიამ რომ ისინი დაჭერილი ნახა, მოგეცათ ღვთის წყალობა, იმან გული იჯერა და მათი ჯინი ამოიყარა. მოიტანა წკეპელი და სულ ტუჩებში უცაცუნა საწყალ ტყვეებს; სანამ ოთხში არ ამოიღო, არ მოეშვა და მერე მკვდრები შორს გადაუძახა. მაგრამ ბოლოს კი ისწავლეს თაგვებმა ჭკუა. იფიქრეს: ეს რაღაც მანქანებაა, ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის; ნურც ნიგოზი გვინდა და ნურც მაგას მივეკარებითო!

„გამოცდილება ჭკუის გვირგვინია; სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“—ნათქვამია, და მართლადაც, რაკი თაგვებმა ჭკუა ისწავლეს, თავს გაუფრთხილდნენ და სათაგვეს აღარ ეკარებოდენ. ისევ სიამოვნებით, გაუჭირვებლადა და თავისუფლად დაიწყეს ცხოვრება, სანამ ბოლოს, რამოდენიმე ხნის შემდეგ, მეორე უბედურება არ ეწვიათ. ერთ დღეს მოესმათ საოცარი და საზარელი ხმა, მეორედ მოსვლის საყვირის ხმაზედაც უსაშიშრესი და უსიამოვნო! ეს ხმა კატის „მიაუ“ იყო. ზედა მდგმურებმა გაიჩინეს კატა.

ამ დღეს თაგვებს წელში შიშის ქარი გაუდგათ, და არა თუ ზევით ველარ ამობრძანდენ, ჭერ-ქვეშაც შიშით ცახცახებდენ და თავ-თავის ბუდეში გულის ბაგა-ბუგით სანგალი გაჰკრეს. სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ჰქონიათ საწყლებს და მერეც დიდხანს ცახცახებდენ შიშით.

მაგრამ ბოლოს ამასაც მიეჩვიენ: პირველი სანახაობაა საშიშარი, თორემ მერე, რაკი თვალი გატყდება, ყოველი ჭირი ადვილი მისაჩვევია. ასე მოუვიდათ თაგვებსაც: რამოდენიმე ხნის შემდეგ, არა თუ ჭერ-ქვეით აღარ ეშინოდათ კატის, ხან-და-ხან, როცა კატას სხვაგან სადმე გაიგულებდენ, ზევითაც ამოცუნცულდებოდენ ხოლმე. ესეც უნდა ვსთქვათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ხან-და-ხან კი ძვირად უჯდებოდათ თაგვებს მათი გამბედ-
დაობა: კატა საშინელი ყურმახვილი იყო და მძინარეც რომ
ყოფილიყო, მაშინაც გამოიღვიძებდა ხოლმე, თაგვის ხრაგუნს
რომ გაიგონებდა. მიეპარებოდა და უეცრად ისარივით დაე-
ცემოდა თავზედ, დაიჭერდა და ისე აწვალებდა, რომ იმაზედ
უსაცოდავესი ქვაც აღარ იქნებოდა: ხან მაღლა აისვრიდა
ბურთივით, ხან გაუშვებდა, ხან ისევ დაიჭერდა ხოლმე. იმ-
დენს აწვალებდა, სანამ სიმწრით სულს არ ამოხდიდა.

ბოლოს ამ კატასაც გაუოსტატდენ თაგვები და ისე ხში-
რად აღარ ვარდებოდენ ხოლმე საფრთხეში. ციცუნიას ეს
არაფრად ეჩაშნიკა და ისე გაკმიდა ხმა, რომ რამოდენიმე
ხანს აღარ დაუჭყავლია; გამოვიდოდა შუა ჭერზედ და მკვდარი-
ვით გაიშლართებოდა ხოლმე. თაგვებმა რომ დიდხანს მათის
მტრის ხმა ველარ გაიგონეს, იფიქრეს, თუ ეს რა ამბავი უნდა
იყოსო, და ამბვის შესატყობლად გამოგზავნეს ზეით ერთი
გულ-მაგარი და ფრთხილი თაგვი. მზვერავმა მიათვალიერ-
მოათვალიერა და შეჰხედა, რომ კატა ზედ შუა ჭერზედ გა-
შლართულა. ჯერ მძინარი ეგონა და ახლოს ვერ მიეკარა,
მაგრამ ბოლოს და ბოლოს კი მიუახლოვდა, უსუნა, დაუგდო
ყური... კატა არ ინძრევა! ეჰ,—იფიქრა—სწორედ შეგვეწია
ბედი და მომკვდარა ჩვენი მოსისხარი მტერიო! კიდევ უფრო
რომ დაეჯერებინა გული, ერთი კიდევაც უკბინა კუდზედ
კატასა, მაგრამ ციცუნია მაინც არ განძრეულა. მაშინ კი
სრულიად დარწმუნებული თაგვი წავიდა გახარებული თავის
გამომგზავნელებთან. გახარებულმა თაგვებმა შესამოწმებლად
სხვებიც გამოგზავნეს, და ბოლოს ეჭვი აღარ ჰქონდათ, რომ
მათი მტერი მომკვდარაო.

შეექნათ დიდი სიხარული და დღესასწაულობა... ბევრი
იმხიარულეს და ბოლოს მოინდომეს მკვდრის განკიცხვა და
შეურაცხყოფის მიყენება. ამ აზრით შეთხზეს ლექსი, ავიდენ
დიდიან-პატარიანა სულ ერთად ყველა, ჯერ მასხარობით მო-
თქმით იტირეს კატა და ბოლოს ფერხული დააბეს კატის
ირგვლივ ამ ნაირის სიმღერით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციცუნია კატაო,
მაგრე რამ დაგხატაო?
ნუ ხარ ჩვენზედ გაბუტვით,
სევდა მოგვემატაო!

—

კოხტავ თავ-მომწონეო,
„მიაუ“ გაგვაგონეო,
თორემ შენის უძრობით,
ხედავ, დაგვალონეო.

—

ეს არს გასაკვირიო:
დაგიღია პირიო,
კბილებიც გიკრეჭია,
დაგდგომია ჭირიო.

—

მეტად არ გამწარდეო,
შენ ჩვენ არ გვიყვარდეო!
თუ გულს გერჩის, წამოხტი,
აბა, ინავარდეო!

—

ამ სიტყვაზედ უეცრად წამოხტა კატა, რომელიც თურმე სიკვდილს იგონებდა, დაერია თაგვებს და მისთანა თქვენს მტერს, იმათ დღე დააყენა!

კუდი ბუძგვით აიპრიხა
დააბრიალა თვალები,
შეჰხტა და შეინავარდა
გაჰკრა-გამოჰკრა ბრჭყალები!

—

„თაგვებო, დედას გიტირებთ,
ვერავინ დამემალები!
უმწვარად ჩაგაკრასუნებთ,
მინდა გიმტვრიოთ ძვალები.

—

თქვე წუწკო, ქონის პარიავ,
არა ხართ შესაბრალები!“ —
ეს მიაყვირა ციცუნამ
და ომი იწყო მალები!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგს კუდი დააგლიჯა, ზოგს კისერი მიაკვნიტა, ზოგს ტყავი დაატოვებინა და ზოგს ხორცი. ძვირად დაუჯდათ თაგვებს მათი სიბრიყვე და უდროვო ფერხული: დიდ-ხანს ეწვოდათ ზურგის კანი.

მაგრამ დრო ყველაფერსა ჰკურნებს. გაიარა დიდმა ხანმა, დაავიწყდათ თაგვებს ტკივილი, მაგრამ ის უბედური შემთხვევა კი ახსოვდათ და მეორედ აღარ ბრიყვდებოდენ: სცხოვრობდენ თავისთვის ჭერ ქვეშ თავისუფლად და შეუპოვრად. მართალია, ბევრი მწუხარება გამოიარეს, სანამ გამოიცდებოდენ, მაგრამ რა ვუყოთ! უჭირნახულოდ ლხინს სრული გემო არა აქვს!..

იმ დღიდამ დამოკიდებული თაგვები ყოველთვის ბედნიერი იყვნენ, თავის ბედს სჯერდებოდენ და მეტს არ ეძებდენ.

ერთხელ, მხოლოდ ერთმა მათგანმა, სულელმა თაგვმა იუკადრისა თავისი თაგვობა და მოინდომა ჩიტობა. „რა არის ეს ჩემი სიცოცხლეო?—ამბობდა—მუდამ მიწაზედ ვხოხავ და მტვერში ვისვრები ჭერ-ქვეშო! სხვაგან წასვლა რომ მინდოდეს, ერთ დღეს ერთ მანძილს ძლივს წავიცუნცულებო, და ჩიტი კი ერთს შემოჰკრავს ფრთას და თვალის დახამხამებამდის მთა და ველს გადივლისო. მეც რომ ფრთები მქონდეს, იმასავით ბედნიერი ვიქნებიო.“

დაიწყო ვედრება: „ღმერთებო, ფრთები მომეცითო!“ შეუსმინეს ღმერთებმა, გამოება თაგვს ფრთები, გადაიქცა რაღაც ცხოველად: აღარც ჩიტი იყო და არც თაგვი.

გახარებული გაჰფრინდა ჩიტებთან. ჩიტებმა აათვალიერ-დაათვალიერეს და რომ შენიშნეს, ფრთები ჩვენი აქვს, მაგრამ ნისკარტი არა აქვსო და ტანად თაგვსა ჰგავსო, აითვალწუნეს. იმდენი კორტნეს, რომ კინაღამ მოჰკლეს. თვალები ამოუკორტნეს და დაჩეკილი გამოაგდეს.

საბრალო ღამურა მეტად შეწუხებული და დაწყლულებული დაბრუნდა და მოვიდა ისევ თაგვებთან. მაგრამ „ვაის“ გაყრილი „უის“ შეეყარა. თაგვებმა რომ ნახეს ფრთები ასხიაო, აიხირეს და იმდენი ჰკბინეს, სანამ არ გამოაგდეს თავის სოროდამ. გზა-დაბნეული მეღამურა შეჰფრინდა ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანგრევში და იქ დაიწყო ბუდობა, და მას შემდეგ, მისი ნაშობი ღამურები სულ ნანგრევში და კედლების ნახვრეტებში სცხოვრებენ დღე ვერაფერს ვერა ჰხედავენ და ღამ-ღამობით ბრმად დაეხეტებიან, აქა-იქ დაფრენენ, ბუზებს იჭერენ და მითი ირჩენენ თავს.

მაგრამ რომ თავის ბედის კმაყოფილი ვერ არიან, ეს მითი მტკიცდება, რომ; როდესაც ორი ღამურა ერთად შეიყრება, ერთი დაიწყებს ხოლმე ტირილს: წრიპ, წრიპ, წრიპ წრიპო! და მეორეც უპასუხებს: „წრუპ! წრუპო!“ და გაჩუმდებიან. იცით ეს რას ნიშნავს ჩვენებურად რომ გადმოთარგმნოთ? ერთი შესჩივის მეორეს: „ვინც თავის გვარტომობას იწუნებს, ის ჩემსავით უბედური იქნებაო!“ და მეორეც უპასუხებს: „დიაღ! დიაღო!“ მერე ორივე შეერთებულის ხმით მოჰყვებიან წრიპინს და დიდ-ხანს, დიდ-ხანს გულ-საკლავად წრიპინობენ, თითქოს მოსთქვამენო და ვინც დაუკვირდება, აი რა სიტყვებს გაიგონებს მათს საზარელს ხმაში:

კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედ!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!
ბოროტებისა მოსურნე
ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!
კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედა ენასა,
მოყვრებს ღალატობს და მითი
აპირობს მაღლა ფრენასა!

აკაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსი

(ზღაპარი ყმაწვილებისათვის)

თავი

I

შვილო ალექსი!
მსურს ვითხრა ლექსი,
საკუთრათ შენთვის მოვმართო ქნარი;
დამიგდე ყური!..
ვით ლუკმა პური,
ისე შეგერგოს შენ ეს ზღაპარი!
აბა დავიწყო:
იყო და იყო,
ღვთის უკეთესი არა იყო რა;
აქედამ წალმა,
ცხრა მთას გადალმა,
იდგა პატარა, ლამაზი გორა,
რომელიც მუდამ
თვის სიმაღლიდან
რაღაც მოლხენით დამზერდა ჭალას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინ გაშლილსა,
სამოთხეთ ქმნილსა,
და მასში სჭვრეტდა პუნების ძალას.
ეს აგარაკი,
გაშენდა რაკი,
აღყვავდა ტურფათ, სხვა-და-სხვა ფერათ;
გაჩნდენ ჩიტები,
გაშალეს ფრთები,
დაიწყეს მღერა გულის მაძგერათ;
თქვეს: „ვნახეთ ზღუდე,
ვაკეთოთ ბუდე.
ეს ხეები სულ ჩვენ-ჩვენთვის გავჰყოთ;
ვიხაროთ გული,
ზამთარ-ზაფხული
უზრუნველათა გვიჯობს აქ დავჰყოთ.“
თქვეს, გაიხარეს,
წილიც არ ჰყარეს,
დაეპატრონენ ისე თითო ხეს.
შრომა დაიწყეს,
ზარმაცი ჰკიცხეს.
ყველა უვლიდა თავ-თავის კუთხეს.
მშვიდობიანს გვრიტს,
იმ უწყინარს ჩიტს,
ერგო მაღალი ხე ნაკვერჩხალი;
ვერ ნახა წუნი,
იწყო ღულუნი,
თქვა: „ხეც პურში დგას, ახლოც მაქვს წყალი;
რომ დავიბუდებ,
კვერცხებსაც დავდებ
და იქიდამა ორ ხუნდს გამოვჩეკ;
მათ გასაზრდელათ
მე ახლოს, ხელათ
წყალსაც ვიშოვნი და პურსაც ავკენკ.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა ეს რჩევა
და ღმერთს კურთხევა
შეძღვნა და ძღვენიც არ იყო ის ცრუ:
დილა-საღამოს,
ტკბილს და საამოს,
ლოცულობს გვრიტი, იძახის: „ღრუ! ღრუ!“
ყვანჩალა ყვავმა,
ავმა და შავმა,
ჯერ გაიცინა, მოჰყვა: „ხე! ხე! ხე!
ჩემ სამოსახლოს
ვხედავ მე ახლოს,
ძალიან მომწონს დიდი ნიგვზის ხე;
ბუდეს ვიკეთებ,
ჩიტებს ვაფეთებ,
კვერცხებს დავდებ და ბარტყებს გამოვტეხ.
შორს აღარ ვეძებ
საკენკარს: უცებ
აქვე ვიშოვი, კაკალს რომ გავტეხ.“
ეს განიზრახა,
გააღო ხარხა
და შემოსძახა მაღლა ხმით: „ყვა! ყვა!“
თვით მოეწონა,
ასე ეგონა,
თუ მგალობელი ტოლი აღარ ჰყვა!..
პატარა მწყერმა,
იმ პურის მტერმა,
ხე რომ იხილა, „რათ მინდაო?“—თქვა
და პურში შეძვრა,
მიწას დაეკრა
და იქ დაიწყო მან ჩუმათ გოგვა.
თქვა: „რას დავეძებ!
კვერცხებს ბევრს დავდებ
და წიწილებსაც ბლომათ გამოვჩეკ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოხრათ მაქვს პური,
ბედს რათ ვემდური?"
გაგოგდა, იწყო პურში: „ბეკ! ბეკ! ბეკ!"
მგოგავმა შაშვმა,
არ ავმა, შავმა,
რომ დაინახა დიდ ეკლის ბურდი,
მას მიაშურა,
სხვას არ უყურა,
ისე შეძვრა შიგ, როგორც რომ ქურდი.
თავიხთვის ჩქარა
დაესახლ-კარა
და ოჯახობას მიჰყო მან ხელი.
ჭიაც იქ ჰქონდა,
საზრდოც მიჰქონდა,
საამოთ სტვენდა,
ყველას ალხენდა,
სალამურივით რა გაჰკიოდა,
იმ არე-მარეს,
ტკბილათ მდუმარეს,—
სხვა ზრუნვით თავი მას არ სტკიოდა.
შავი მერცხალი,
როგორც რომ მთვრალი,
დაბარბაცობდა, ჰფრენდა ტრიალით;
უჭრიდა რა გზებს
მომფრინავ ბუზებს,
საზრდოთ უჭვრეტდა მათ მტრული თვალით.
რა გაძღებოდა,
შტოზე ჯდებოდა,
იწყებდა ხოლმე ჭიკჭიკს საამოს;
მერე, ვით ქალი,
წყნარ პატარძალი,
შინ მიჰფრინავდა ყოველ საღამოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გუგულმა,
ცრუმ და ცივგულმა,
ასე თქვა: „ბუდის არ მაქვს ჯავრიო,
სჯობს სხვის ზღუდეში,
მე მზა ბუდეში,
სხვის კვერცხებშია ჩემიც გავრიო!
მას ეგონება—
არ აქვს გონება—
მისი და ზედაც კრუხათ დაჯდება.
და როს გამოტეხს,
თავებს დაუტეხს
ჩემი ბარტყი სხვებს—თვით გაიზრდება.
სხვებს ვიმსახურებ,
სეირს ვუყურებ,
მე ხის წვერზედა შევსჯდები დილით
და მე იქიდან
ბრაწებს დავატან
გამლელ-გამომლელს „გუ-გუს“ ძახილით.“
მაშინ ბულბულმა,
ტკბილ გრძნობით სრულმა,
მიმართა ვარდნარს სიამოვნებით;
და რომ დაჰხედა
ვარდის ბუჩქზედა,
ბუდე გამართა თავ-მოწონებით.
კოკობი ვარდი,
იმისი დარდი,
თვალთ წინ საამოთ ეფურჩქნებოდა;
და მით ბულბული,
აღელვებული,
მეტი ეშხითა თითქოს დნებოდა.
ვარდი კოკობი,
ბალჩისა მკობი,
ბულბულის გულსა ცეცხლს უკიდებდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არე მარე,
მუდამ მდუმარე,
ვარდის მღერალსა ყურსა უგდებდა.
ბულბული ამკობს,
ვარდიც ამაყობს,
შურით კი ჭკნება საბრალო ია;
და იადონი,
თავის მომწონი,
რას დასდევს იას, სტვენს: „ტია! ტია!“
ასე, ამ გვარად,
მარად და მარად
სტვენენ სხვა-და-სხვა გვარის ჩიტები;
დიური საზრდო
ყველას წინ ედო
და შესაქცევათ მარგალიტები.
ეს ტურფა მხარე,
ტკბილათ მდუმარე,
ეკუთვნოდა ერთ მშვიდობიან ცხვარს;
და კმაყოფილი,
ის მადლის შვილი,
მადლობას. ძღვნიდა თავის მაცხოვარს.

თ ა ვ ი

II

ეს ცრუ სოფელი,
მწარ-სამყოფელი,
ვერ ვის დაინდობს, არვის გაიტანს!..
უდროოთ ალხენს,
უდროოთ აწყენს
კაცს, აბურთავებს, სად არ გაიტანს?!
ვინ არა ძრახავს?
არ ვინ მინახავს,
რომ ამ სოფელზე მადლობა ეთქვას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს კი მიკვირს:
სიცოცხლე თუ სჭირს,
რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას?..
მაგრამ იმედი,
უბედოს ბედი,
გვამხნევებს ჭირში, მით გვაძლევინებს;
და მწარ შავ დღეებს
მთლათ დაგვავიწყებს
ტანჯვით დამაშვრალს, წამს თუ გვაცინებს.
ჰოი, სად ხარ დრო,
ტკბილო, ნეტარო!
კაცობრიობის მალამოთ გელით
და სასოებით
რა გელოდებით,
ეკლიან გზას ვწმენდთ შიშველი ხელით.
და მოველით დროს,
ტკბილ-სანეტაროს,
როს იგრძნობს ერი ბედნიერებას!..
აწმყო ცხოვრება
მითი გვიტკბება
და თანავუგრძნობთ იმ ნეტარებას!
ეს აღსარება
ვის ეყურება!..
ბევრს უკვირს ჩვენი სხვა გვარი ქცევა;
გიჟებათ გვხდიან,
და დაგვცინიან...
ხან გვესმის მათგან რისხვა და წყევა!..
მაგრამ ჩვენ იმ დროს,
რომ დაგვიფაროს,
ქრისტეს სიტყვები გვაგონდებიან:
„შენ ზეციერო,
მამავ ძლიერო!
არ იციან, თუ რასა შვრებიან!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდეს მუშაკი,
ოფლსა ჰღვრის რაკი,
შემოდგომისას თესავს ხორბალსა,
შიმშილს არ ნაღვლობს,
მაცხოვარს მადლობს,
მომავალ ზაფხულს უხატავს თვალსა
და წინეთ უმზერს,
გული მით უძგერს,
რომ მისი შრომა კარგ ნაყოფს აძლევს,
რომლითაც მრავალი
მშიერ საწყალი,
საზრდოს ჰპოვებს და დღეებს ტკბილათ ჭლევს.
მაშინ მდიდარი,
მარად მაძღარი,
ამ ნეტარებას, ვით გიჟურს, ძრახავს!..
მუქთად მყლაპავი,
საზიზღი სვავი,
საბრალო მუშაკს ძმათაც არ სახავს.
და ამაყ-გული,
მძორ-დიდებული
სულელს ახარებს, თავს უქცევს რა თვალს.
მაგრამ ჭკვიანი,
მართლ-გრძნობიანი,
უმალ თაყვანს სცემს მუშაკსა საწყალს;
და მით იმის გულს,
გრძნობით აღსებულს,
ახალ შრომისთვის მარჯვედ ამხნევებს
და ასის დევნას,
უსუსტარ წყენას
ერთის თანგრძნობით მალე ავიწყებს..
ჩვენც ხომ ისე ვართ,
დევნა გვჩანს არად
ათასის, თუ რომ ერთი თანგვიგრძნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჯერ ჩვენში
მად არს ნუგეში?
ჩვენგანი თანმგრძნობს ჯერ ვერვის იცნობს!..
და წყლული გული,
აღელვებული,
ძგერს უიმედოთ, ნაღვლით აღვსილი.
მით ამ ცრუ დრომა
დაგვიჭკნო შრომა,
ჭლექში ვარდება ჩვენი სურვილი...
განმრავლდით, მშრომნო,
სულით ამაყნო!
თქვენი საფლავი დროსა მომავალს
საძირკვლათ ჰქონდეს,
რომ აგონებდეს
თქვენი ცხოვრების პატიოსან კვალს!
და ვინცა აწმყოს,
რა ხელი მიჰყოს,
თავის სიცოცხლეს შესწირავდეს მთლად
და უმცროს მოძმეს,
ვითა მოწამეს,
შეიწირავდეს თავისთვის მსხვერპლად,—
ხალხში გაჰკიცხეთ
და შეარცხვინეთ,
რომ შვილებმაცა მათ არ მიჰბაძონ
და სუსტთ ამკლები,
კაცები—მგლები,
თვისის სამწყსოდან მათაც განაძონ.
მაგრამ ეს ლექსი,
შვილო ალექსი,
შენთვის ადრეა... ირჩევ ჯერ ზღაპარს?
მაშ კარგი, შვილო,
მამულის წვლილო,
მივმართოთ ისევ ჩვენს საცოდავ ცხვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი

III

უზრუნველათა,
მწვანე ველათა
დანავარდობდა სიამით ცხვარი;
სჭამდა, ცხოვრებდა
და ცივ წყალს ხვრეპდა,
ფეხით გაჰქონდა სულ მთა და ბარი.
ვის რას უყოფდა?
მით ამაყობდა,
რომ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა;
და ისე ხტოდა,
როგორც უნდოდა,
ცა ქუდად უჩნდა, ქალამნათ მიწა.
მაგრამ ერთ დღეს კი
აკვნიტეს ნეკი,
როდესაც ჭორათ მოჰკრა მან ყური,
რომ სხვა მხეცებსა,
მის მეზობლებსა,
გულში შესვლიათ საბრალოს შური!..
დიდათ ჰკვირობენ
და უპირობენ
ძალით საბრალოს დამონებასა,
თუ რომ სურვილით
და სიტყვით ტკბილით
თვითონ არ დაჰყვა იმათ ნებასა!
ჯერ თავ-მომწონე,
ამის გამგონე,
საბრალო ცხვარი მეტად დაღონდა;
თქვა: „ცა გამიწყრა!“
ბევრი იფიქრა
და ბოლოს ხერხი მას მოაგონდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის სამფლობელო,
მისი სამშობლო,
სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,
ყოველი კუთხით
გალავნით, ციხით
შეჰკრა,—მტერი ვერ მოუხტებოდა!
და შემდეგ მარად
ის უშიშარად
აბუჩა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა
და თავის გულში,
დამშვიდებულში,
მოსისხარ მტერებს ჰამპულათ ხდიდა!
ერთხელ, ვით მტვერი,
მოადგა მტერი,
მაგრამ რა ნახეს გამაგრებული,
გაჰკვირდენ მეტად,
შეიქმნენ რეტად
და მოულოდნათ დაწყდათ მათ გული.
ვერრა გააწყვეს,
ამოიძუეს,
დაბრუნდენ სახლში ბილწი მხეცები;
და ცხვარმაც საგზლათ
ხშირათ და ხან-გრძლათ
თან გაატანა იმათ ბრაწები!
უფრო დიდებით
და დამშვიდებით
ამ საქმის შემდეგ ცხვარი ცხოვრებდა
და ის სხვა ცხოვლებს,
ვერც დათვებს, ვერც მგლებს
ძალით მომსევად ვერ უყურებდა.
ხანი გამოხდა,
ცვლილება მოხდა:
ეტკინა საწყალს ჩვენს ცხვარს მუცელი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასვა კრავები,
ნიკორ-შავები,
და გასაზრდელათ მიჰყო მათ ხელი.
ძუძუსა წოვდენ,
სხვას არას სთხოვდენ.
დედას დასდევდენ და ნავარდობდენ.
სილამაზითა
და სინაზითა,
ასე გასინჯეთ, ერთმანერთს სჯობდენ!
ჭკუა-გონება,
დიდი ქონება—
რაც ცხვრისა წესზე კი შეიძლება—
იმათაც ჰქონდათ,
თავი მოსწონდათ;
აკლდათ მათ მხოლოთ გამოცდილება,
მაგრამ ეს ნიჭი,
ცხოვრების ბიჯი,
დედის მუცლიდან არვის დაჰყვება.
ცრემლ-ნაღველითა,
გულის მწველითა
ის მხოლოთ შემდეგ მოიპოვება.
და ერთხელაც ვინცა
მას ხარკი მისცა,
ჭმუნვის ბეჭედი აზის მის სახეს;
და რაც პირველათ
ჩნდა სასურველათ,
ბოლოს იქ ჰგონებს საფრთხეს და მახეს!..

თ ა ვ ი

IV

ხარბი რამ არი
და უმაძღარი
ვნებითა სრული, აღმშფოთი გული:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც რომ ჩვენია,—
მოსაწყენია,
და რაც არა გვაქვს,—მიგვიდის სული!
მწარისა ოხვრით
და ცრემლების ღვრით
როს ავისრულებთ ჩვენ ერთსა სურვილს,—
კიდევ სხვას, ახალს
გული იჩენს ალს
და არ გვასვენებს კრულსა და ურვილს!
ჩვენს ნაცნობ ცხვარსა,
შეუპოვარსა,
მოსწყინდა მალე ის არე-მარე
და მოსაძოვრათ,
ნეკრის საშოვრათ
გადააბიჯა გალავანს გარე
და ის კრავები,
საცოდავები,
გალავანს შიგნით მარტოთ დაჰყარა!
მაგრამ იმავ დროს
უფროს და ფმცროს
ორივე შვილებს ეს დაუბარა:
„ჩუმათ! ნუ ბღავით,
ფრთხილათ იყავით,
დაკეტეთ კარი, არვის გაუღოთ!
მარტო რომ გნახონ,
არ მოგატყუონ
ჩემმა მტერებმა, არ დავიღუპოთ!..
მე როცა მოვალ,
ყველაზედ უმალ
სამჯერ „ბეს“ ვიტყვი და „ბეკეკესა“
და მითი მიხვდით,
კარებს მოახტით,
ჩქარა გამიღეთ და გაჭმევთ რძესა!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარად ცხვარმა,
გულ-უმაძღარმა,
კრავებს ეს სიტყვა რა დაუბარა,
მინდორი გავლო,
მთებიც გადავლო,
მოუხედავათ გასწია ჩქარა.
. უდედურათა,
უძუძურათა
დარჩენ კრავები და მოიწყინეს;
ვერც იკუნტრუშეს,
ვერც ინუგეშეს,
მიწვენ ჩეროში და დაიძინეს.
მათ ძილში მგელი,
ის საძაგელი,
მიადგა კარებს, ეცა რა სუნი.
ერთი მან გარეთ
იზუვლა მწარეთ
და დაუწო კარს ჩქარა კაკუნი.
ძილი, დაუფრთხათ
ტკბილი, მაგარი
ამ ხმაურობით პატარა კრავებს;
და რომ წამოხტენ,
მაშინვე მიხვდენ,
რომ აბრიყვებდა ვიღაც მათ მტრობით.
მიცვივდენ კარზედ,
მაგრამ უარზედ
დადგენ და აღარ გაუღეს კარი:
„ვიღაცა ხარო,
თუ დედა ხარო,
აბა ნიშანი შენი გვითხარი!“
კუდ გრძელმა მგელმა,
იმ საზარელმა,
მოსატყუებლათ შეჰქმნა ზუილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ კრავებმა,
ნიკორაებმა,
იცვნეს და უთხრეს მათს მტერს: „ტყუილი!
გსურს გაგვაბრიყვო?!
დედა რომ იყო,—
სამჯერ იტყოდი „ბეს“ და „ბეკეკეს!“
ჩვენც მივხვდებოდით,
კარს მივხტებოდით,
გაგიღებდით და შენც გვაჭმევდი რძეს.
შენ დედა არ ხარ,
სხვა გვარათ ჰყარხარ,
საიდამც მოხველ, იქვე წადიო!“
მგელი დაღონდა,
რაღა გზა ჰქონდა!
თქვა: „დამეკარგა დილის მწვადიო!
ახლა ამ კრავებს,
ეშმაკებს, ავებს,
ვერ მოვატყუებ, წახდა ფიციო,
მაგრამ მეორეთ
შევაცდენ სწორეთ,
რადგან ნიშანი მათი ვიციო!“
მართლაც მეორეთ
დაბრუნდა სწორეთ
სამხრობის დროზედ, კარი მონახა.
ასუნ-დასუნა,
დაუკაკუნა,
„ბე“ და „ბეკეკე“ სამჯერ დასძახა...
მაშინ კრავები,
საცოდავები,
მოტყუვდენ და წამს გაუღეს კარი.
და ვაი მათ მტერს!
მგელს შეხვდენ მშიერს...
ორნივ ჩაყლაპა მგელმა უმწვარი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამაძღარი,
არ გასახარი,
მგელი წავიდა სახლში ძუნძულით;
და ის გძელ-კუდა,
როგორც რომ გუდა,
გამოიბერა მუცლით და გულით

თ ა ვ ი

V

დაბრუნდა ცხვარი.
რომ ნახა კარი
ღია, კრავებიც აღარსად იყო,
მას ელდა ეცა,
პირქვე დაეცა.
და საცოდავათ ბღავილი იწყო!
თქვა: „ეს რა მოხდა!“
ზეზე წამოხტა,
თუმცა ცრემლები ადგა მას თვალში,
და თავის მტერსა,
გულის მაძგერსა,
გარისხებული ჩაუდგა კვალში.
მისდია ჩქარა
მთა გადიარა
და ერთ ღელეში ნახა მან მტერი.
შეშინდა მგელი,
ის საძაგელი,
ცხვარს რომ შეხედა, წაუხდა ფერი!
ის, გამაძღარი,
ეგდო, ვით მკვდარი
და აღარ ჰქონდა საომრათ ძალა.
და მონელება,
ომის შეძლება
იმ წყეულს ცხვარმა აღარ აცალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროზედ მოასწრო,
იშოვნა მან დრო,
ამოჰკრა ფაშვში მრისხანემ რქები,
გააპო ჩქარა
და გამოჰყარა
ისევ ცოცხლები თავის შვილები!
ბევრი იხარეს,
ცრემლები ჰღვარეს.
სიამოვნებით შეექმნათ კოცნა..,
და მერე ცხვარმა,
ბუდით დამტკბარმა,
თავის შემოქმედს მადლობა უძღვნა
და წამოვიდა
დიდის ამბითა
თავის სახლისკენ გულ-დამშვიდებით;
და ძველებურათ,
ის მისებურათ
ისევ ცხოვრებდა, იყო დიდებით.
ხშირათ მტერები:
მგლები, ტურები,
დათვები და სხვა თუმც აწუხებდენ,
მაგრამ დიდ ზარალს
ვერ აძლევდენ მას,
რადგანც ციხის კარს მათ არ უღებდენ.

თ ა ვ ი
VI

უსამართლობით,
ომით, ძალობით
არვის შეეძლო, გაეღო კარი,
თუ რომ შეცდენით
და მოყვრის ენით
არ დაეღუპათ საბრალო ცხვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელათ,
მოუწვეველათ
გაჩნდა მოყვარე, მტერზედაც ავი.
ეს იყო მელა!
ცუნცულით, ნელა
მობრძანდა, თოვლში ის ნაგორავი,
და მოტყუებით,
ტკბილი სიტყვებით
მიმართა ცხვარსა კეთილ მზრუნველათ:
„კეთილო ცხვარო,
ღირს შესაყვარო,
მამაცო, სიმხნით ქებულო ძველათ!
ყოველი კუთხით
ღამითა და დღით
მტერი გყავს, არ გაქვს მით მოსვენება!
და შენ მოყვარე
არ გყავს მომხმარე,
რომ მოგეხმარო, მომეცი ნება.
მალალო სულით,
მიყვარხარ გულით
და მისთვის მინდა გეძმო, გემოყვრო;
და შენი მტერი,
როგორც რომ მტვერი,
ისე გავხადო, მინდა... ამოვფხრო.
მე ერთი მურა
თეთრი, შავ-ყურა
მყავს, თუმც არ არის ჩემი ფერია,
და როგორც მელის,—
ჩემგან რას ელის?—
ის უნდა იყოს დიდი მტერია,
მაგრამ სიბრიყვით
ის, ერთი სიტყვით,
რადგანაც არ აქვს მეტი გონება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაეგება,
კიდეც ექება
თავ-განწირულათ ჩემი მონება!
აი, ამ მურას
მოვიყვან, ტურას
და მგელს წავიფრენ მე წინ სიმწრითა!
და მაშინ შენა
მოგხედავს ზენა,
მტერს მოიგერებ ყოველი მხრითა.
მოგაშორებ მტერს,
არც გთხოვ არაფერს
ამ სამსახურში მე გულ-წმინდაო!
მოწმეთ მყავს ღმერთი
მე მხოლოთ ერთი—
შენი მოყვრობა გულით მინდაო!"
ცხვარს რომ ეს უთხრა,
თავი დაუკრა
და ისე ჩქარა წავიდა შინა,
რომ იმ საწყალ ცხვარს,
მის სიტყვით დამტკბარს,
თითქმის მადლობაც არ ათქმევინა.
დარჩა მარტო და
ამას ამბობდა
ცხვარი: „ეს მელა სით გამიჩნდაო!
ბევრიც უვლია,
შორეულია,
ჩემთვის რა აქვსო იმას სადაო!
როგორც ეტყობა,
ჩემი მოყვრობა
მას გულითა სურს, უზაკველადო.
მაშ დაამტკიცოს,
მტრისგან დამიცოს,
ომი გამართოს მტრებთან ველადო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაშინ მეცა,
მოწმეთ მყავს ზეცა,
რომ არ დავრჩები უმადურიო:
კარსაც გაუღებ,
ტკბილათ მივიღებ,
რომ ნახოს ჩემგან სამსახურიო.
რა გადასწყვიტა
ეს, შინ მივიდა,
კრავებს უამბო, უმახარობლა.
და იმავ დღიდამ
ყოვლის ეუთხიდამ
მისმა ნათელმა დღემ მოიღრუბლა!..

თ ა ვ ი
VII

დადგა ზამთარი.
მგელი, გამხდარი,
ტურა და დათვიც იერიშითა
მოადგენ ციხეს,
კრავებმა ნახეს
და გაიკმიდეს მათ ხმა შიშითა.
მაგრამ ამავ დროს,
ცუდს და საზაროს,
პირობისა მებრ მოვიდა მელა,
თან მოჰყვა მურა,
დასძახა: „ურა!“
და წაიფრინა წინ მტრები ყველა.
დათვი აბლავლეს,
ტურა აჭყავლეს,
მგელი გაბერეს, როგორც რომ გუდა!..
და ვით სარდალი,
მხნე და მართალი,
ისე მოიქცა აქ მელა კუდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრძანა მურას:
„ნუ მზოგავ ნურას,
რაც გინდა, მთხოვე, აგისრულებო!
და მართებელათ
მე უეჭველათ
ამ საცხვარეთში შენ გიგულებო.
მაგრამ კი ჯერე
მე დამიჯერე:
ფარისევლურათ და ფრთხილათ ვიყოთ,
რომ არ შეგვიტყოს,
ცხვარმა რო გვკითხოს,
ჩვენი ჰაზრები და გავაბრიყვოთ:
კარი გაგვიღოს,
ჯერ შინ მიგვიღოს,
ცოტა ხანს ვიყოთ ჩვენც, ვით სტუმარი,
და მერე, როცა
ხელთ ვიგდოთ დროცა,
გავკრიჭოთ ჩვენი ცხვარი ხუმარი.
თუ იუაროს,
არ მოგვეკაროს
და არ მოტყუვდეს ჩემი ტკბილ-ენით,
მაშინ შენ მალე
გადუბრიალე
თვალები რისხვით, მუქარით, ღრენით!
რომ მაშინ შიშით,
ვაგლახით, ვიშით
ენა ჩავარდეს, ჩაიწყვიტოს ხმა
და ვითომც ნებით,
ძალ-დატანებით
სამარადისოთ გახდეს ჩვენი ყმა.
ეს რომ დააწყვეს,
საქმეც დაიწყეს:
დიდ მოწიწებით მიდგენ ციხის კარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიხარულით,
ვით მართლის გულით,
გამარჯვებასა ულოცავდენ ცხვარს.
მოტყუვდა ცხვარი,
გააღო კარი
და შეიყვანა ციხეში მელა.
იმას თან მურა
შეჰყვა შავ-ყურა
და გაიზმორა სიამით ნელა.
ცხვარმა მაშინა
გამოიჩინა,
რაც კი შეეძლო მას მასპინძლობა.
და მელა კუდამ,
ეშმაკის გუდამ,
ნაცვლათ შემდეგი უთხრა მადლობა:
„გმადლობო, ცხვარო,
შენ უწყინარო,
თავს რათ იწუხებ მასპინძლობითო?!
შენ ველარ შეძლებ,
მე ვიმასპინძლებ,
და შენც ქირაში ყოველ წლობითო
მიხადე მადლი,
მაძლიე მატყლი
ერთი საჩოხე, საპაიჭეო
და მით მშვიდობა
და ჩემი ნდობა!
მონის საფერათ მიინიჭეო
ბევრს ნულა ფიქრობ!
რაღას აპირობ?
სიამ-ტკბილობა სჯობს იხმაროო,
რომ ბოლოს ძალით
ორივე თვალით
არ იტირო და ცრემლი ღვაროო!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძრწუნდა ცხვარი,
გულს ჰკრეს ლახვარი!..
მაგრამ რაღა დროს? რაღას იზამდა?
მელა კუდურა
და მასთან მურა,
რომლებიც წელან მეგობრათ რწამდა,
მრისხანე ძალით,
თვალის ბრიალით
ულრენდენ და თანც ილესდენ კბილებს!..
და მაშინ ცხვარმა,
შიშით შემკრთალმა,
ცრემლით ურჩია საბრალო შვილებს:
„აწ კი გვიმართებს,
ამ მინდვრებს და მთებს
გამოვეთხოვოთ —მონა ვართ მელის...
გვაწევს ღვთის რისხვა,
სანამ აწ ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გვიშველის...
ვმონოთ ჯერ შავ ბედს,
ნუ ვკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს ალმა და დალმა.
რომელმაც ჩვენა
არ მოგვასვენა,—
ეგებ დაჰგლიჯოს მელაც იმ ძალლმა.
და ჩვენც მაშინა...
ჩუ! შემაშინა
რალაც ჩვენებამ ამბობს: „ფრთხილადო!
ჯერ მსხვერპლი უნდა,
უმანკო, წმინდა
განსაწმენდელი შვილის-შვილადო!“
ეს რა წარმოთქვა,
ყელს შეიბა ქვა
ნიშნათ მონების... დადუმდა ცხვარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს თავ-დახრილი!..
იწყო ტირილი
დღესაც არ შრეგა იმას ცრემლთ ღვარი!..
იმ არე-მარეს,
ჩაგრულს, მწუხარეს
გულ მოსაკლავათ რწყავს ის ცრემლთ ღვარი...
და რომ შეაშროს
ის ცრემლი ერთ დროს,
მისთანა გმირი ჯერ არსად არი...

აკაკი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიზმარი

ვ. ქ. მ.

ბნელიურ სიცხადით გულ-დაჩაგრულსა,
ძილში მელირსა ტკბილი სიზმარი:
ვნახე, რომ ქვეყნად ჩამოსულიყვენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.

—

თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა—წმინდა მოწმობის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინოს ხელთ-ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.

—

ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალი,
საქართველოსკენ იშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმა-შეწყობილად
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:

—

„დედაო მღვთისავ, შენი მხვედრია
ეს საქართველო დიდ-ჭირ-ნახული,
შეუნდევ ცოდვა, ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!

—

მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველი დედა,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!

—

მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
გაუმტკიცებდე აღმა-ფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაუკარგავ იმ ტკბილ ენასა,

—

რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენის მცნებასა
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერცხლისა და ჭივჭავის ომი

გაზაფხული დადგაო,
ხეში წყალი ჩადგაო;
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი გასკვნაო!

ნათქვამია არაკად, მართლაც, დადგება თუ არა გაზაფხული, ზამთრისაგან გაბრუებული და მითვლემული ბუნებაც სულს იბრუნებს, იღვიძებს. მაშინ აბიბინდება, აჰყვავდება მდელო, ტყე მწვანით იმოსება, საამო და გრილი ნიავი, თითქოს ნანინას ეუბნება, ისე აკვანივით არწევს ხან იქით და ხან აქეთ აკოკრებულს და ტურფად გაშლილს, სუნნელების აღმომაფშვენ ყვავილებს; იტაცებს მათს არომატს, უხვად მოჰფანტავს მათ არე-მარეს და მით კეთილი შეზავებული ჰაერი სამკურნალოდ, სამკვირცხლოდ მოქმედობს ყოველ სულდგმულზედ. აი, ამ დროს იწყებენ სხვა და სხვა გვარი ჩიტები ჭიკჭიკსა და ბუდეების კეთებას, და იმაზედ არის ნათქვამი, რომ „ჩიტმა ჩიორამაო საძირკველი გასკვნაო“ ე. ი. ბუდის კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თება დაიწყოო! დიალ, ჩიტები იწყებენ ბუდობას ზოგი ადრე და ზოგი უფრო გვიან; დაგვიანებული ბუდობა უფრო უცხო ქვეყნებითგან მოფრენილმა ჩიტებმა იციან, მაგალითად: გუგულმა, მერცხალმა, მწყერმა, მწიფობელამ და სხ... ადგილობრივთ ჩიტებს კი არ უყვართ დაგვიანება: შაშვს, გვრიტს, სკვინჩას, მესკიას, ჭივჭავს, კოდარას, ჩხართვს, გულ-წითელას, ბოლო-ქანქალს, თოხი-ტარას, მწყერ-ჩიტას და სხ...

მაგრამ ამ ჩიტებშიაც შაშვს ვერავინ დაასწრებს: ყველაზე უფრო ადრე ბარტყების გამოჩეკა იმან იცის, ასე რომ ნაახალწლევს ბევრს აღარ აგვიანებს და, თავის ბედით კმაყოფილი, ამ დროთგანვე იწყებს ხოლმე სალამურის ხმით სტვენას.

ძველად ჩვენი მამა-პაპები კარგად, ლამაზად საუზმეს მირთმევდენ, თანაც რამდენიმე ყანწ ღვინოს გადაჭკრავდენ ხოლმე და მერე გამოდიოდენ სახლიდამ გარედ სამუშაოდ. „მშიერი კუჭი მხდალია და მაძღარს კი არაფრისა ეშინიაო“ —იტყოდენ ხოლმე.

ეს აზრი ყველასათვის აუცილებელი კანონი იყო, მაგრამ პატარა ყმაწვილები-კი ხან-და-ხან არ ასრულებდენ ამ დიდების ანდერძს: ისინი უფრო თავის გულის-თქმას მისდევდენ და ხშირად, დილ-დილაობით რომ გამოელვიძებოდათ წამოდგებოდნენ თუ არა ლოგინიდამ, ისარივით გავარდებოდენ ხოლმე გარედ ხელ-პირ დაუბანელად და უზმად.

ამისთანა გაუგონარ ბავშვებს დედები და გამდლები ეტყოდენ ხოლმე: „უიმე, შვილო, სირცხვილია, ჩიტმა რომ უზმად გნახოს და გაჯობოსო. მერე, თუ უცხო ქვეყნიდამ პირველად მოფრენილია, მაგალითად: მერცხალი, გუგული და სხ... მაშინ ხომ სულ თავი მოგეჭრებაო! ადე მალე, ხელ-პირი დაიბანე, ჩაიცივი, ილოცე ისაუზმე და ისე გადი გარედ, და თუ ჩიტი შეგხვდეს, მიაყვირე: „მიჯობნია! მიჯობნიათქო!“ ამ გვარად, უმანკოდ მოტყუებული პატარა ბავშვები, ასრულებდნენ უფროსების ნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარ ყმაწვილებთაგანს ეკუთვნოდა პატარა დათიკო, რომელიც ყოველთვის სცდილობდა უფროსების რჩევის დაჯერებას და მათის სურვილის ასრულებას, და ძალიან დიდ ცოდვადაც მიაჩნდა უზმად ჩიტის შეყრა. და მართლადაც, ძვირად, ძვირად მოუხდებოდა, რომ ჩიტს ის უზმად ენახა, დაესწრო მისთვის და მითი ეჯობნა.

ერთს გაზაფხულის დილას, გულის ძილში რომ იყო, ისე წამოვარდა უცბად დათიკო და დაიყვირა: „არ მიჯერია! არ მიჯერიაო!“ ყველას ეგონა, თუ დათიკო სიზმარშია და ბოდავსო, მაგრამ არა. იმას თურმე ჩაესმა ყურში მერცხლის ჭიკჭიკი, და მართლადაც, იმ დილას, პირველად მოფრენილიყო სახლში და ჭიკჭიკობდა. „არ მიჯერია! უჯეროა, უჯეროა!“ ჰყვიროდა დათიკო „ჯობნა შინ კი არ უნდა, გარედ უნდა!“ უცბად წამოვარდა ზეზედ, დაიბანა ხელ-პირი, ჩაიცვა, ილოცა, ისაუზმა და ისე გავიდა გარედ, და მერცხალიც რომ იქ გამოფრენილი ნახა, სიხარულით მიაძახა: „დაგასწარი! მიჯობნია შენთვისო!“ ის მერცხალი ყოველთვის, როცა კი გაზაფხულის პირზედ მოფრინდებოდა ხოლმე სულ იმ სახლში, ისევ ძველ ნაბუდარზე იკეთებდა ბუდეს, და დათიკოს ძალიან უყვარდა: „ჩემი ჩიტუნიაო,“ იტყოდა ხოლმე ალერსით.

პატარა მოყვარე სიამოვნებით უყურებდა მერცხალს, როდესაც იმას ტალახი მოჰქონდა და თან-და-თან იშენებდა ზრდიდა თავის ბუდესა. ბოლოს, როცა იქნა, მერცხალმა გაათავა ბუდე და ჩაჯდა შიგ კვერცხების მოსაწყობად. დათიკო ხშირად ათვალიერებდა ხოლმე. ერთ დღეს მოვიდა და ნახა. რომ მერცხლის ბუდეში ჭივჭავი (ბეღურა) იჯდა და საწყალს მერცხალს აღარ უშვებდა თავის ბუდეში. მოვიდოდა თუ არა მერცხალი ბუდეზედ, ჭივჭავი გამოყოფდა ხოლმე თავს და ჰკორტნიდა საბრალოს. ბევრი იჭყივლა მერცხალმა და რომ მაინც ვერა გაარიგა რა ბოლოს, სადღაც გაფრინდა თავისთვის. ჭივჭავი მაინც ბუდეში იჯდა და გამარჯვებულად გადმოჰყოფდა ხოლმე თავს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოფრინდა მერცხლის გუნდი, თვითოეულს მათგანს ტალახი მოჰქონდა და თვალის დახამხამებამდის ასე ამოამსეს და წაჰგლისეს ბუდე, რო ჭივჭავი თუ არ გამოფრენილიყო, გამოიღრჩობოდა ბუდეში. გაიმარჯვეს მერცხლებმა, მაგრამ მოკლე იყო მათი სიხარული და ჭიკჭიკი.

მოიყვანა ჭივჭავმაც გუნდი ჭივჭავებისა. შეექნა ერთ-ერთ-ლა ამ ორს სხვა-და-სხვა გუნდს, და ისე დაუნგრიეს ჭივჭავებმა ბუდე მერცხალს, რომ ნაბუდარიც აღარ სჩანდა. დათიკომ ყოველივე ეს თავს თვალით ნახა, და როდესაც მამასთან მივიდა, დაწვრილებით უამბო ეს ამბავი.

— ბოროტი და საძაგელა ყოფილა ჭივჭავი, თორემ რას ერჩოდა საწყალს მერცხალს, რომელიც თავისთვის იყო, და რად უნგრევდა ბუდესაო?—ჰკითხა მამას.

— არა, შვილო, ხშირად ის არის მართალი, ვინც ჩვენ მტყუანი გვგონია, და მტყუანი კი მართლად მიგვაჩნია!.. აი ახლაც: შენ ჭივჭავს ამტყუნებ, მაგრამ, ჩემის აზრით, გასამტყუნარი არ არის. რიგიანად მოქცეულა. ჭივჭავი აქაურია, მერცხალი კი აქ ბუდეს გაიკეთებს, ბარტყებს გამოზრდის, თავს გამოიკვებს და მერე გაუდგება გზას სხვა ქვეყნისკენ, და მიტომაც ეჯავრება ის აქაურ ჭივჭავსაო!—უპასუხა მამამ.

— ეგ მაინც ბოროტება არის, განაგრძო დათიკომ, თორემ რა ენაღვლება, მერცხალმა აქ ბუდე გაიკეთოს? ადგილი ბუდისათვის საკმაოა, როგორც ერთისათვის, ისე მეორისთვის, და მაშ მით რა წაუხდება ავ-გულ ჭივჭავსო?—აქ კიდევ სხვა ანგარიშია, შვილო, წასჩურჩულა მამამ: აქ საზრდოსთვის იბრძვიან. როგორც ჭივჭავები, ისე მერცხლებიც ბუზებსა და ჭია-ჭუებს იჭერენ, მითი იკვებებიან და, თუ აქ მერცხლები გამრავლდენ, მაშინ ჭივჭავებს საზრდო გამოელევათ... ამ სიტყვებზედ დათიკო ღრმად ჩაფიქრდა, ამოიოხრა და სთქვა! მართალს ამბობ. ჭკვიანი ყოფილა ჭივჭავიო!

აკაკი

მიჯაჭვული ამირანი



ავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული...

ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რალაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც კვნესოდა, არც ოხვრიდა..
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა!...

ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, ყველა გააოცა!
და ის ღვაწლი მაგალითად
მიწის შვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები-კი ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი,
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!

აკაკი



ვარდი და ეკალი

ერთს ლარიბს, მაგრამ წმინდა ქოხში სცხოვრებდა ქვრივი დედა-კაცი ათის წლის ვაჟით. მოყვარულს დედისათვის ამა სოფლის ნეტარება იყო დასახლება მისი გიორგისა, და მართლაც, პატარა გიორგი ღირსი იყო ამ გვარი სიყვარულისა!

ზოგიერთ ყმაწვილს ურჩობა, ჟინიანობა, ცელქობა და სხვა ამ მგვარი რამ უზნეურობა საქებად მიაჩნია. მაგრამ გიორგი კი ამ გვართაგანი არ იყო: იმან კარგად იცოდა, რომ დედა მისი ცუდს არაფერს ურჩევდა და, არა თუ ემორჩილებოდა მის ნებას, თითქმის თვალებში შესცქეროდა და იმას სცდილობდა, თუ რა მოვაწონო და რით ვასიამოვნოო!

რადგანაც ჯერ პატარა იყო, ამის გამო მწყესობის მეტი არა შეეძლო რა, და იმას კი რიგიანად ასრულებდა. სამწყესურში ცხვრებსაც კარგად უვლიდა და გულის საჯეროდაც ბურთაობდა თავის ტოლ-ამხანაგებში, სადაც ხან ბურთაობდენ, ხან რიკაობდენ, ხან მალულობას თამაშობდენ და ხან ძერა-კუდაობასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა გიორგი მისთანა საყვარელი იყო თავის ამხანაგებისა და თანაც მისთანა მარდი, რომ თამაშობის დროს, როდესაც მწყემსები ორად გაიყოფოდენ, არჩევანის დროს პირველად გიორგის მივარდებოდენ ხოლმე.

საღამოობით, როდესაც ცხვრებს მორეკდა სახლში, დაღალული ჩაუდებდა ხოლმე დედას კალთაში თავს და ხან მთისას ეჭუკჭუკებოდა, ხან ბრისას მისგან აღტაცებაში მოსულ დედას. ხანდახან ძილიც მოესწრობოდა დედის მკერდზედ მიყრდნობილს, და მაშინ დედა მისი სიფრთხილით, რომ არ გამოაღვიძოს პატარა მისი ნუგეში, თითქმის სულთქმასაც კი იკავებდა, დააჩერდებოდა ხოლმე სახეზედ, ხან გაიღიმებდა და ხან წამწამებზედ კურცხალი გადმოეკიდებოდა. ვინ იცის, რას ჰფიქრობდა მაშინ საწყალი დედა! მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ იმ დროს მისი ფიქრები მხოლოდ პატარა მძინარას ეკუთვნოდენ.

ერთს საღამოს, როგორღაც მოწყენილი დაბრუნდა სამწყესურიდამ გიორგი. დედა მისმა შენიშნა ეს და მიზეზი გამოჰკითხა.—ხომ არავის გაულახავხარ, შვილო?—გალახვას ვინ რას მერჩოდაო, მიუგო შვილმა, მაგრამ მე ის მაწუხებს, რომ ყველა უხერხულის შვილს მეძახის, და რა მიზეზია ეს, თუ არ გავიგე, არ შეიძლებაო. მით უფრო, რომ, რამდენადაც შენგან გამიგონია, მამა-ჩემის ნამდვილი სახელი თედორე იყო.—ამ სიტყვაზედ დედა მისმა ამოიხვნეშა, ჩაისვა კალთაში შვილი და მოუყვა მარცვალ-მარცვალ, თითო კაკალად შემდეგი:

—ყოველი კაცი განსხვავდება პირუტყვებისაგან ზნეობის უზენაესობით, რომელიც უმეტეს ნაწილად სინიდისში გამოცხადდება ხოლმე. მაგრამ თუ კაცმა ზნეობითი მხარე დასჩაგრა როგორმე და სინიდისი წაიწყმიდა, მაშინ ის ყოველ პირუტყვზედაც უპირუტყვესი შეიქნება ხოლმე. ხშირად, როგორც უკიდურესი უბედურება, უკიდურესი ბედნიერებაც აბრმავებს კაცს, უბნევს სწორ გზას და მიჰყავს ზნეობით და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემამდე, ზნეობის დაკარგვასთან გაჰყვება ხოლმე ბოლოს
მზგავსება და ხატება, რომლითაც კაცი უპირატესობს სხვა
ცხოველებზე ..

ამ გვარ კაცთაგანს ეკუთვნოდა მამა-შენიც. ის თავის
პირადობას და კერძო ბედნიერებას საზოგადოს სწირავდა.
ხშირად იტყოდა ხოლმე: „საზოგადო უბედურების დროს კაცი
არ უნდა ეძებდეს კერძო თავის ბედნიერებას. თუ ჩემ გარე-
შემო ყველანი მშიერი იქნებიან, მაშინ გემრიელი საჭმელიც
უგემურად ჩავა ჩემს პირშიო. ერთი ყველასთვის და ყველა
ერთისთვისაო“... ამ გვარი აზრის და მოქმედების კაცი, რა-
საკვირველია, პირადად ვერას შეიძენდა, მარად ღარიბი იყო,
უხარისხო. ჩვენს ხალხს და ჩვენს მეზობლებს, რომლებსაც
ანდაზადა ჰქონდათ ბოდბელის არაკი: „თუ მე არ ვიქნები,
ქვა-ქვაზედაც ნულარ ყოფილაო“!—ახირებულ კაცად მიაჩნ-
დათ მამა-შენი, დასცინოდენ და გაკიცხვითაც დაარქვეს „უხე-
რხული“.

ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩემს ქმარს ბოროტი არავის-
თვის არ უქნია, მაგრამ ყველასა სძულდა, რადგანაც არ ეპ-
რიანებოდათ მისი გამბედაობა, თავ-მოუხრელობა და პირდა-
პირობა. როგორც გველს ეჯავრება გოგირდის სუნი, ისე მე-
ზობლებს ეჯავრებოდათ მამა-შენი. ეს იცოდა იმ ცხონებულმა.
მაგრამ ასე იტყოდა ხოლმე: „მე კი სინიდისი წმინდადა მქონ-
დეს და ვინც რა უნდა სთქვასო; ფიქრი არ არის, ვერას და-
მაკლებენო, თუ სიმართლე ჩემსკენ არისო“. ასე ამბობდა,
და ის კი არ იცოდა საბრალომ, რომ ბოროტი კაცი მისგან
ამორჩეულ სამსხვერპლოს მარტო სიტყვას არ აკმარებს და
საქმითაც გამოიმეტებს ხოლმე. ყველაზე უფრო ის ეჯავრე-
ბოდა ერთს კაცს, რომელიც საზოგადოების დაჩაგვრით ამა-
ღლდა, რომელსაც, ბედნიერებისაგან გაამაყებულს ვერავინ
რასმეს უბედავდა. მაგრამ მამა-შენმა კი ბევრჯერ აკვნეტია
თითი მის მოსისხარ მდევნელს. „ვისაც ჩემი მორიდება გაქვსთ
და ჩემი რამე გწამსთ, მაგ საძაგელ კაცს ნუ მიეკარებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურც ავად და ნურც კარგადო“!—ეუბნებოდა, ვისაც კი შეხვდებოდა დიდი კაცი.

სულ-დაბალი, მუცელ-ღმერთა კაცი, მდიდრის პურმარილზედ გაწუწკებული, რასაკვირველია, ძალა-უნებურად განზე უდგებოდა მამა-შენს ყოველ შემთხვევაში. და ხშირად, თუ კი მოახელებდენ როგორმე, აქაო და დიდ-კაცს ვასიამოვნოთო, სდევნიდენ საბრალოს!

მართალია, უკიდურესობაში ჩავარდა საბრალო თედორე, სილარიბე კისერზედ დააწვა, მაგრამ მაინც აღარ გადუხვევია ერთხელვე დამდგარ სწორი გზისგან.

ავად რომ გახდა, ჩემს მეტი მომვლელი არავინა ჰყოლია, წამლის ფასი არა გვქონია სახლში და, ასე გასინჯე, რომ შიმშილმაც მოგვისწრო. ისე მოჰკვდა ის განათლებული, რომ მის პირს ბრავისზედ არაფერი საყვედური არ წამოსცდენია. სიკვდილის წინ-დღეს მხოლოდ შენ მიგიკრა გულზედ და დაგლოცა: „ღმერთო ამას უკეთესი ბედი მოასწარიო“! და მიიძინა საუკუნოდ.

აქ ქვრივმა ცრემლები გადმოჰყარა, ამოიხვნეშა, მოიწმინდა თვალები და განაგრძო:

— მეზობლებს მისი სიკვდილი არაფრად სწყენიათ საზოგადოდ, მაგრამ ამათშიაც გამოჩნდა ორიოდე ღვთისნიერი კაცი, გაუთხარეს საფლავი, მიიტანეს სასაფლაოზედ და სახვის-შვილოში ჩაჰფლეს. არც საფლავის ქვა მისთვის და არც მოხსენება—ეს ცხრა წელიწადია! გაიარა რამოდენიმე ხანმაც, დიდი კაცი გარდაიცვალა. გამოჩენილად იტირეს და დაასაფლავეს, საფლავზედაც მარმარილოს ქვა დაადვეს ზედ-წარწერილი...

— რომ მივიდე, მე შემიძლიან მივაგნო, რომელია მამა-ჩემის საფლავი და რომელია მისი მტრის, დიდი კაცისა?— ჰკითხა შვილმა.

— ადვილიაო, მიუგო დედამ: რომ გახვალ იმ სასაფლაოზედ, ერთი საფლავი მარმარილოს ქვით დახურულია, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველს კუთხით კი ზედ ნარ-ეკალი ამოსულა და ბოგ ბაყაყები ჰბუდობენ, მეორე კი უსაფლავის-ქვოა, მაგრამ ზედ ვარდებია ამოსული, სადაც გაზაფხულობით ბულბულები ბუდეს იკეთებენ ხოლმე, და ხშირად, ღამით გამვლელებს ესმისთ ერთის მხრით, როგორ სტვენს ბულბული, ვარდზედ შემომჯდარი, სასიამოვნოს ხმით და, იმავე დროს, მეორეს მხრით კი საფლავის ქვაზედ შეცუცქული ბაყაყი საზარელის ხმით დაყიყინებს! პირველი უგალობს მამი-შენის საფლაეს, და მეორე ზარს ეუბნება მის მტრის სამარეს!

— იცი, დედა, რასა მღერის ბულბული და რასა ყიყინებს ბაყაყი?

— მათი ენა არავის ესმის, მაგრამ აზრით ბევრს ეყურება, და თვითონ მე გეტყვი რას ნიშნავს მათი ხმა. მე გეტყვი და მერე შენ ირჩიე, თუ რომელ მკვდართაგანს უნდა დაემსგავსო სიკვდილის შემდეგ: სავარდ-ბულბულოს. თუ საგველ-ბაყაყ-საეკლოს?

ბულბულის სტვენა

ვით ამ წყვდიადსა და ბნელსა არეს
ანათებს მთვარე, სხივ მომფინარე,
ისე აბრწყენდა ქველ-მოქმედებით
ცხოვრების ბნელ გზას აქა მდებარე.

—

ვით ლაჟვარდოვან ცაზედ კაშკაშით
სჩნდება თან-და-თან ვარსკვლავთა კრება,
ისე ბრწყინავდა მისი აზრები,
ვინც ამ ბნელ საფლავს ქვეშ იფარება.

—

და ვით ეს ვარდი ნორჩი, კოკობი,
ამო საჰვრეტი, წმინდა, სუნნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე რჩეული იყო მის გრძნობა,
ვისაც აქ იცავს საფლავი ბნელი.

—

ვითა ბულბული სტვენს მრავალ-გვარად,
და შორს გაისმის მისი გალობა,
ისე უმღერებს ჩანგ-მომართვითა
ამ გვარ კაცებსა ჩამომავლობა!

—

ვინც მოყვრებზედა მარად ჰფიქრობდა
და სამშობლოსთვის უძგერდა გული,
მისი სახელი უკუნისამდე
იყოს მაღალი და კურთხეული!

ბაყაყის ყიყინი.

გველ-ბაყაყის ბუდე იყო
სიცოცხლეში მისი გული,
ვისიც გვამი, დაწყევლილი,
დღეს აქ არის დამარხული.

—

ქვრივ-ობრების დამჩაგვრელმა
არ იცოდა ქვეყნად მადლი
და მოყვრებსა ისე ჰხრავდა,
ვით საფლავის მას ჰხრავს მატლი.

—

აზრებით მტრედს, ძმის დამჩაგვრელს
მრუდე ჰქონდა გზა და კვალი,
და რაც სთესა სიცოცხლეში,
ამოვიდა, ვით ეკალი.

—

და ვაი მას, ვინც ამ გვარად
საუკუნოდ დაიძინა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის საფლავში გველ-ბაყაყებს
და მატლებს აქვსთ მხოლოდ ბინა.

—

იმას დაჰგმობს შემდეგი დგმა,
შეაჩვენებს და დასცინებს,
და სახსოვრად საუკუნოდ
მას ბაყაყი უყიყინებს!

აკაკი

გამოცანები აკაკისა

არა სჭამს, მხოლოდ წყალსა სვამს,
გულხარბი ყოვლის მხრითაო;
თუ ხელი ვინმემ მოჰკიდა,
იტირებს ცრემლის ღვრითაო.

—

ოცდა თორმეტი ძმები ვართ,
როდესაცა ვართ სრულადო,
გვერდში უდგავართ ერთმანეთს
მხარს ვაძლევთ მეგობრულადო;
და ვაი იმის სიმართლეს,
ვისაც შევხვდებით მტრულადო.

—

არც ისმება, არც იჭმება,
არც ხელით დასაჭერია,
თითონვე ასმევს და აჭმევს
კაცისთვის ყველაფერია.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი

‘10‘ ‘ ‘ ‘





ნაცვლითი სახელი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ

დედი შენის ქალიშვილი.



ლ



ს

ვ

100 ტ



ჩ

ოედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. ოუმანიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

12 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელისმოწერეს:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**
გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**